„საბჭოთა წინ სვლა, საბჭოთა წინ ვიხელმძღვანელოთ, საბჭოთა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მუშაობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო ზრუნვით, საერთო ძალ-ღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება“.

ვ. ი. ლენინი

სოფლის მშრომელებო!

წარმატებით დავამთავროთ 1965 წელი.

ეს ლირსების საქმეა!



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 46-ე წელი. № 273 (13358) | პარასკევი, 19 ნოემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

საწარმოს პარტიული ორგანიზაცია

ეთელ ჩვენს ქვეყანაში გაშლილია საქმიანი, გეგმაზომიერი მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. ბუნებრივია, რომ ამ მუშაობის სიმძიმის ცენტრი საწარმოებშია — ქარხნებსა და ფაბრიკებში, სადაც იქმნება მატერიალური ფასეულობანი.

ახალ პირობებში ფართოვდება საწარმოთა უფლებები და სამეურნეო დამოუკიდებლობა, იზრდება საწარმოთა კოლექტივების როლი წარმოების მართვაში. ამასთან დაკავშირებით იზრდება ძირეული პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობაც. შეიძლება ითქვას, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ მათს საქმიანობაში დაიწყო ახალი ეტაპი, რომელსაც ახასიათებს უფრო დიდი მოთხოვნები თვითეული პარტიული ორგანიზაციისადმი, თვითეული კომუნისტისადმი.

პირველადი ორგანიზაციები ჩვენი პარტიის საფუძველია. პირველადი ორგანიზაციების, ყველა კომუნისტის აქტივობისა და ბრძოლისუნარიანობაზე დამოკიდებულია პარტიის გავლენა მასებზე, მთელი ჩვენი საქმის წარმატება.

ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დასახა დიდი და პასუხსაგები ამოცანები, რომ გავადიდოთ სამრეწველო წარმოების ეფექტიანობა და უფრო სრულად გამოვიყენოთ საწარმოთა რეზერვები პროდუქციის გამოშვების გასადიდებლად. ამ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის მშრომელთა ბრძოლის ორგანიზატორები უნდა იყონ პარტიული ორგანიზაციები, ყველა კომუნისტი, რომლებიც საწარმოო კოლექტივების ხართვს შეადგენენ.

ამჟამად მრეწველობის საწარმოებში შრომის ოთხ მილიონზე მეტი კომუნისტი, რომლებიც გაერთიანებული არიან 77 ათასზე მეტ პირველად ორგანიზაციაში. ეს უდიდესი ძალაა. მრეწველობის მართვის ახალი სისტემა პარტორგანიზაციებს უსახავს წარმოებაზე აქტიური და ეფექტიანი გავლენის უფრო ფართო შესაძლებლობებს. მათი მეცადინეობა ახლა უნდა მოხმარდეს ბრძოლას ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპისათვის, სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის გაზრდებისათვის, შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით ზრდისათვის, ხალხურ-სამეურნეო გეგმების და სახელმწიფო დავალებების შესრულებისათვის, წარმოების მართვაში ყველა მშრომელის მაბმისათვის, მასების შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის განვითარებისათვის.

როგორია ამ ამოცანების გადაჭრის გზები? ეს გზები დასახა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. პარტიული ორგანიზაციები სამეურნეო ხელმძღვანელების მაგივრობას კი არ უნდა ეწეოდნენ, არამედ მოვალენი არიან მთავარი ყურადღება მიაქციონ ორგანიზატორულ მუშაობას, კადრების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას, კონტროლს პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებაზე, მეწარმეთა კომუნისტური აღზრდის გაძლიერებას.

ხელმძღვანელობს რა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათ, ბევრი პარტიული ორგანიზაცია უფრო ღრმად სწვდება წარმოების საკითხებს, ეკონომიკის პრობლემებს. ისინი არ ეღლდებიან რაიმე განსაკუთრებულ ინსტრუქციებსა და მითითებებს, არ კარგავენ დროს და მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მთელ ყურადღებასა და ენერგიებს ამბარენ წარმოების რეზერვების გამოძებნასა და ამოქმედებას. მაგალითად, მოსკოვის სალი შენადნობების კომბინატის და კიშინიოვის ზუსტ ელექტროხელსაწყოთა ქარხნის კომუნისტები საშუშაო ადგილებზე ახალი ტექნიკის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ფენერგეტიკის ორგანიზატორები გახდნენ. ლენინგრადის სტარაკტორო ქარხნის კომუნისტებმა აქტიურად დაუჭირეს მხარი ინჟენერ-ტექნიკოსების შეჯიბრებას წარმოების რეზერვების გადიდებისათვის.

მთელი რიგი პარტიული კოლექტივები ასევე ახლა ახორციელებენ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ქმნიან მეურნეობის გაძლიერების ახალ სისტემაზე სწრაფად, ორგანიზებულად გადასვლის პირობებს. ნიკოპოლის მილის ქარხნის პარტორგანიზაციამ გაშალა მუშაობა საწარმოს ძირითადი ფონდების უკეთ გამოყენებისათვის, გამოვლინდა რეალური შესაძლებლობა სამი კაპიკით გადიდდეს სარგებლიანობა ძირითადი ფონდების ყოველ მანეთზე. ეს შესაძლებელს გახდის წლის ბოლომდე პროდუქციის გამოშვება გადიდდეს 3,5 მილიონი მანეთით და მეტით. ქარხნის კომუნისტებმა დიდი საქმე დაიწყეს: ყველა საწარმოში სარგებლიანობა ძირითადი ფონდების ყოველ მანეთზე მხოლოდ ერთი კაპიკით რომ გადიდდეს, ჩვენი ქვეყნის ეროვნული შემოსავალი გაიზრდება სამი მილიარდი მანეთით და მეტით, რაც შესაძლებელს გახდის დამატებით აშენდეს მშრომელებისათვის ნახევარი მილიონი ბინა.

მრეწველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. ეს არა მარტო სამეურნეო, არამედ აგრეთვე დიდი სოციალური პრობლემაა, რომელიც ეხება ყველა საბჭოთა ადამიანის ინტერესებს. აქ საქმიანობის დიდი ასპარეზი აქვთ კომუნისტებს, რომლებმაც ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად უნდა დარაზმონ მრეწველობისა და მეცნიერების ყველა მშრომელი. თვითეული



18 ნოემბრის მოწინავე

პარტიული ორგანიზაციის საბრძოლო ამოცანაა მიაღწიონ იმას, რომ საწარმოს პროდუქცია საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონეზე იყოს, რომ იგი შეესაბამებოდეს საბჭოთა ადამიანების მაღალ მოთხოვნებს და ფართო მოთხოვნით სარგებლობდეს საზღვარგარეთ.

პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში დიდი ადგილი უნდა დაიკავოს ბრძოლამ ყაირათიანობისათვის ყველაფერში, ფულად სახსრებს, მატერიალური და შრომითი რესურსების უმკაცრესი მომჭირნეობისათვის. წარმოების მასშტაბი ახლა იმდენად დიდია, რომ მასალებისა და სამუშაო დროის პროცენტის თუნდაც ნაწილის დაკარგვა დიდ ზარალს აყენებს ჩვენს ქვეყანას. მომჭირნეობისათვის ლაშქრობა ნამდვილად საყოველთაო-სახალხო უნდა გახდეს. ყურადღების ღირსია ლუგანსკის ოლქის მოწინავე კოლექტივების ინიციატივა, რომლებმაც დაიწყეს მასობრივი მოძრაობა ყაირათიანობისათვის. ამ თაოსნობის შესახებ მოთხრობილია დღეს „პრავდის“ ფურცლებზე. თვითეული პარტორგანიზაციის სერიოზული დამსახურება იქნება, თუ იგი ჩაუნერგავს კომუნისტებს, საწარმოს ყველა მუშაკს სახელმწიფო სახსრების მომჭირნეობისათვის, ნედლეულის, მასალების, მოწყობილობის ყველაზე ეფექტიანი გამოყენებისათვის დიდი ზრუნვის გრძნობას.

რა ამოცანებსაც უნდა წყვეტდეს პარტიული ორგანიზაცია, მისი ყურადღების ცენტრში მუდამ უნდა იყოს ადამიანები, მათთან მუშაობა, ზრუნვა მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის. განსაკუთრებით საჭიროა მივაღწიოთ მატერიალური დაინტერესების სწორ შეხამებას მორალური სტიმულების ფართო გამოყენებასთან, კომუნისტური აღზრდის გაძლიერებასთან.

კომუნისტები მოწოდებული არიან გაუმჯობესონ იდეოლოგიური მუშაობა, გააძლიერონ კადრების, ყველა მშრომელის იდეური წრთობა. და ამ დარგში უპირველესი ამოცანაა ღრმად განვუმარტოთ მშრომელებს ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა არსი. ყველას უნდა ჩავუნერგოთ კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი, მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული მშრომელი თავს გრძნობდეს წარმოების ნამდვილ პატრონად — აქტიურ, ინიციატივიან, მზრუნველ პატრონად.

სამხრეთ ოსეთის მეხილეთა შრომა

საუბარი საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივან ამხ. გ. ჯუსოევთან.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჯუსოევმა სამხრეთ ოსეთში ხილის მოსავლიანობისა და მისი სახელმწიფოსათვის შიყიდვის შესახებ შემდეგი განაცხადა:

რამდენიმე წელია სამხრეთ ოსეთის მშრომელებს ხილის ასეთი უხვი და ბარაქიანი მოსავალი არ უნახავთ. სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, რომ ხილის სიუხვე მარტო წლევანდელმა ბუნებრივმა პირობებმა განაპირობა. წელს ხილის მაღალი მოსავლიანობისათვის მართლაც კარგი პირობები იყო. მაგრამ ეს როდია მთავარი. მიმდინარე წელი მეხილეობაში წინა წლებისაგან გამოირჩეოდა მებაღეთა ერთსულოვანი, ბეჯითი შრომით, ბაღებში ჩატარებულ სამუშაოთა მაღალი ხარისხით და აგროტექნიკური მოთხოვნების სრული განხორციელებით. სწორედ ეს იყო ის ძირითადი, რამაც შექმნა ხილის მაღალი მოსავლის მოყვანის და მისი უდანაკარგოდ აღების შესაძლებლობა.

სასიამოვნოდ იყო დახუნძლული ხილის ბაღები დიდი და პატარა ლიახვის, ქსნისა და ფრონეს ხეობებში. ხილი გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით და საუცხოო არომატით. განსაკუთრებით დიდი მოსავალი მოგვცა ვაშლის ისეთმა ჯიშებმა, როგორიც არის შამპანური და კანადური რენეტი, ქართული სინაპი და ძველად ცნობილი ადგილობრივი ჯიშები.

ხილის დიდი მოსავალი მიიღეს ლენინგორის რაიონის სოფელ იკოთის, ცხინვალის რაიონის სოფლების ქსუისის, დისეევის, კეხვის, ზნაურის რაიონის სოფლების ავნევისა და თიღვის კოლმეურნეობებმა. იკოთის კოლმეურნეობის ბაღებში ზოგიერთ ნაკვეთზე საშუალოდ 300-350 ცენტნერი არომატული ვაშლი მიიღეს. ამ კოლმეურნეობაში მებაღეთა ნაყოფიერი შრომის ერთ-ერთი წინაპირობა კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება იყო. ბევრმა იკოთელმა შრომის მადატებითი ანაზღაურების სახით 1-1,5 ტონა ვაშლი მიიღო.

დიდი შრომა დასჭირდათ დმენისის, ქსუისის, ავნევისა და თიღვის კოლმეურნეობათა წევრებს, რომ დროულად აეღოთ და ჩაებარებინათ ხილის ზღვა მოსავალი. გამოცდილი მებაღეები უკვე შეუდგნენ ხილის მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის საფუძვლის ჩაყრას. ამჟამად ბაღებში მიმდინარეობს რიგთაშორის ნიადაგის დამუშავება, გასხვლა და ძირების შეთეთრება.

სამხრეთ ოსეთმა პირნათლად გაანალდა სახელმწიფოსათვის ვაშლის მიყიდვის დავალება. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.765 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 6.000 ტონაზე მეტი თესლოვანი ხილი. სახელმწიფოსათვის ხილის მიყიდვა გრძელდება. სულ რამდენიმე ღღეში სახელმწიფოს ჩაბარდება კიდევ რამდენიმე ასეული ტონა მაღალხარისხოვანი ვაშლი.

სამხრეთ ოსეთმა გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე სახელმწიფოსათვის კუჭკოვანი ხილის მიყიდვის გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.105 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 2.600 ტონა კუჭკოვანი ხილი.

სამხრეთ ოსეთის მებაღეობის კოლმეურნეობებს, მათ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, კომუნისტებს, კომკავშირელებს გადაწყვეტილი აქვთ მომავალ წელსაც გამრჯე შრომით მიაღწიონ ბაღების მაღალ მოსავლიანობას, გაადიდონ მათი ფართობები, მოსპონ სიმეჩხრე და ახალი წარმატებებით შეხვდნენ ჩვენი პარტიის XXIII ყრილობას.

ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები დღითიდღე აძლიერებენ პარტიის XXIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტური შეჯიბრების ტემპს.

ბოგდანოვკის რაიონის სოფელ გორელოვკის კოლმეურნეობაში თავი გამოიჩინა მწველავმა მარია მაკასეევამ (სურათზე მარცხნივ). მიმდინარე წლის ათ თვეში წველადობის წლიური გეგმა ას ათი პროცენტით გაანაღდა და ვალდებულება იკისრა თვითეული ძროხის წველადობა წლის ბოლოსათვის 2.000 კილოგრამამდე აიყვანოს.

გურჯაანის რაიონის მევენახეებმა ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანით საქვეყნოდ გაითქვეს სახელი. მარტო ველისციხელმა მშრომელებმა სამშობლოს 5.000 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი მისცეს.

ყურძნის მოყვანა-დამზადებაში აქ ყველა სასახელოდ შრომობდა. მათ შორის არის ავტომძღოლი ა. შალაშვილი (სურათზე მარჯვნივ). იგი ახლაც ყოველდღიურ დავალებებს 130-140 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ვ. ყუშიტაშვილისა.

კატაკეგი სოფლიდან

თელაველთა წარმატება

თელავის რაიონის მეცხოველეებმა 17 ნოემბრისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა: ხორცი — 7.179 ცენტნერი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.110 ცენტნერისა, რძე — 19.036 ცენტნერი, დავალებაზე 36 ცენტნერით მეტი. სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება. (საქდესი).

გეგმის გადამეტებით

ზუგდიდის რაიონის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს სიმინდის დამზადების წლიური გეგმა. ნაცვლად 1.460 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 1.660 ტონა სიმინდი.

პრეზიდიუმი

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

№ 312 1965 წლის 19 ნოემბერი. ქ. მოსკოვი

ამხანაგებო მერაკეტეებო და არტილერისტებო, სარაკეტო და საარტილერიო მრეწველობის მუშაკებო!

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები ზეიმობენ სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღეს. სამშობლო ზეიმით სცემს პატივს თავის მამაც დამცველებს — მერაკეტეებსა და არტილერისტებს, აგრეთვე სარაკეტო და საარტილერიო მრეწველობის მუშაკებს.

ამ დღესასწაულს საბჭოთა ადამიანები აღნიშნავენ მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში. ქალაქისა და სოფლის მშრომელები, შეიარაღებული ძალების მეომრები ემზადებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის და უფრო მჭიდროდ ირაზმებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გაახარონ სამშობლო ახალი შესანიშნავი წარმატებებით კომუნიზმის სასახელოდ.

სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის გადიდების გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც პარტიამ შეიმუშავა, უსრუნველყოფს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უფრო წარმატებით შექმნას, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებასა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, რომლებიც მშრომელთა მეცადინეობას წარმართავენ დიდი შემოქმედებითი ამოცანების გადასაჭრელად, თანამიმდევრულად ახორციელებენ ლენინურ მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკას, მტკიცედ იბრძვიან სოციალისტური ქვეყნების ერთობის განმტკიცებისათვის, კოლონიური მონობისაგან ხალხთა ხსნისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

პარტია და მთავრობა ითვალისწინებენ, რომ აგრესიული მონოპოლისტური წრეების მიზეზით მნიშვნელოვნად გართულდა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა. იმპერიალიზმი ცდილობს შეაფერხოს ხალხთა წინსვლა თავისუფლებისა და პროგრესისაკენ. ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები აწარმოებენ აგრესიულ ომს ვიეტნამში. მიმართავენ ძალადობას და შეიარაღებულ ჩარევას სხვა ქვეყნებისა და ხალხების საქმეებში. მთელი ძვირფასი ბისმოყვარე კაცობრიობის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს დასავლეთგერმანელ რევანშისტთა ცდა წელთ იგდონ ატომური იარაღი დანაშაულებრივი მიზნების განსახორციელებლად.

იმპერიალიზმის აგრესიული კურსის გაძლიერება საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნებისაგან მოითხოვს, რომ არ შეანელონ სიფხიზლე და კიდევ უფრო, ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ თავიანთი თავდაცვისუნარიანობა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი დაუცხრომლად ზრუნავენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის, ჩვენი შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების სრულყოფისათვის.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები, რომლებსაც აქვთ თავდაცვის ყველაზე თანამედროვე საშუალებანი, მომძლე სოციალისტური სახელმწიფოების არმიებთან ერთად ფხიზლად დგანან საბჭოთა სამშობლოს და სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის უშიშროების სადარაჯოზე.

სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის პირადი შემადგენლობა, ისევე როგორც არმიისა და ფლოტის ყველა მეომარი, განუწყვეტლივ სრულყოფს საბრძოლო ოსტატობას, იჩენს უდიდეს სიფხიზლეს და ყოველ წუთს მზად არის გამანადგურებელი დარტყმა აგრძოსოს, თუ გაბედა და თავს დაესხა ჩვენს საბჭოთა სამშობლოს.

მოგესალმებით და მოგილოცავთ დღესასწაულს — სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღეს.

დღესასწაულის აღსანიშნავად ვბრძანებ:

დღეს, 1965 წლის 19 ნოემბერს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში — ადრეთვე გმირ ქალაქებში მიცემულ იქნეს სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!

გაუმარჯოს სსრ კავშირის მამაც შეიარაღებულ ძალებს და მათ მთავარ ს

მაღაროელი პატრიოტები

ისინი მუშაობენ იმ მაღაროში, რომელიც ბულგარელი ხალხის ერთგული შვილისა და საბჭოეთის დიდი მეგობრის ბიორგი დიმიტროვის სახელს ატარებს.

ისინი ხუთნი არიან. ერთმანეთს ხეირიანად არც იცნობდნენ, მარტო მისალმებით კმაყოფილდებოდნენ. და აი ერთმა ბედნიერმა შემთხვევამ ახალგაზრდა მაღაროელები დაუახლოვა, დაამეგობრა...

1964 წლის იანვარია. ახალგაზრდები ჰიათურის სამხედრო კომისარიატში მიწერაზე იყვნენ. დიმიტროვის სახელობის მაღაროდან აქ არიან კომკავშირელები თეიმურაზ მაჭავარიანი, დავით ხახიშვილი, დემურ იაკობაშვილი, რევაზ კაპანაძე. ყველანი ერთი ხნისა, საშუალო განათლებით. გულღიად საუბრობენ მომავალ შრომასა და საქმიანობაზე...

მაღაროელ პატრიოტებს კარგი აზრი დაებადათ: სამხედრო ნაწილში გაწვევამდე დიდი დროა. მოდით შევქმნათ წვევამდელთა ბრიგადა. ვიბრძოლოთ კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელისა და მაღაროს წითელი დროშის მოპოვებისათვის, შემდეგ ვთხოვოთ კომისარიატს ერთ ნაწილში ჩაგვრიცხონ და იქაც ერთად ვიბრძოლოთ სამხედრო-პოლიტიკური ცოდნის დაუფლებისთვისაც...

თავიანთი მოსაზრება მაღაროელებმა სამხედრო კომისარს და მაღაროს ხელმძღვანელებს გაანდეს. მათ გულდასმით მოუსმინეს და ახალგაზრდების პატრიოტულ თაოსნობას მხურვალედ დაუჭირეს მხარი.

გასული წლის თებერვალში შეიქმნა წვევამდელთა ბრიგადა. ხელმძღვანელად თ. მაჭავარიანი აირჩიეს. დაიწყო ბრძოლა კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელს მოპოვებისათვის. ახალგაზრდები ერთსულოვანმა შრომამ მჭიდრო კოლექტივად შეაკავშირა. ისინი საფუძვლიანად გაეცნენ ერთმანეთის ყოფაცხოვრებას. ერთმანეთის კარგი ჩვევები მოიწონეს და განაზოგადეს, ცუდი კი დაგმეს, უკუაგდეს. მოქმედებდნენ პრინციპით: „ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის". ახალგაზრდები ერთმანეთს შველოდნენ არა მარტო შრომაში, არამედ ოჯახურ საქმიანობაშიც. რომ იტყვიან, მათთვის ჭირი და ლხინი განუყოფელი იყო.

ახალგაზრდები სწავლობდნენ რუსულს, იწრთობოდნენ სპორტში, მიზანზე სროლაში. ერთად ესწრებოდნენ კინოწარმოდგენებს, კითხულობდნენ წიგნებს, შემდეგ მსჯელობდნენ ნახულსა და წაკითხულზე, ურთიერთს უნაირებდნენ თავიანთ აზრებსა და ფიქრებს. მაღაროელ პატრიოტებს განსაკუთრებით აინტერესებთ დიდი სამამულო ომის გმირთა ცხოვრება და საბრძოლო ეპიზოდები...

მამაცურმა შრომამ და სიბეჯითემ ნაყოფი გამოიღო. ბრიგადამ ერთი წლის თავზე კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელი მოიპოვა. განსაკუთრებით გაძლიერა შრომა პარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ. თ. მაჭავარიანის კომუნისტური შრომის ბრიგადამ კარგა ხანია ფლიური ბეგმა შეასრულა, მაღაროს გარდამავალი წითელი დროშა დაისაკუთრა. ბრიგადის წევრები მაჯის საათებით დაიჯილდოეს.

ბრიგადის წევრები ორი-სამი თვის წინათ ყველანი სკკპ წევრობის კანდიდატები გახდნენ!

სამხედრო კომისარიატმა თ. მაჭავარიანის ბრიგადა მართლაც ერთ სამხედრო ნაწილში ჩარიცხა. ბრიგადის წევრები სამხედრო ნაწილში მიდიან გარდამავალი წითელი დროშითა და მაღაროელთა ფორმით, რომელიც საჩუქრად მიიღეს. ისინი საზეიმოდ გაიცილეს 14 ნოემბერს.

დიმიტროველთა მაგალითი კალინინის სახელობის მაღაროშიც გადაიღეს. აქაც შეიქმნა წვევამდელთა ბრიგადა, რომელსაც სათავეში გიგი თაბაგარი ჩაუდგა. იგი ახლახან პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს. ამ ბრიგადის წევრები ამირან ქარსელაძე, ოთარ გურული, გიორგი უიფშიძე და თამაზ გფრინდაშვილი კომკავშირელები, კომუნისტური შრომის დამკვრელები არიან. საშუალო განათლება აქვთ.

თ. მაჭავარიანისა და გ. თაბაგრის ბრიგადები ურთიერთს ეჯიბრებოდნენ და წარმატებას აღწევდნენ მეტი მარგანეცისათვის ბრძოლაში. გ. თაბაგრის ბრიგადამაც კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელი და მაღაროს გარდამავალი წითელი დროშა დაისაკუთრა. თუ მაღაროს კოლექტივმა წელს რესპუბლიკაში ორჯერ პირველი ადგილი და გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა, ამაში გარკვეული წვლილი წვევამდელთა ბრიგადამაც შეიტანა...

ამ მაღაროში მუშაობდა საბჭოთა კავშირის გმირი ს. ჭილაძე, აქ მოწყობილია გმირის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტენდი. წვევამდელები ხშირად იკრიბებოდნენ სტენდთან, იგონებდნენ ს. ჭილაძისა და მისებრ თავდადებული გმირების საბრძოლო ცხოვრების გზას. პირობას დებდნენ იყონ სამხედრო-პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები, ასახელონ სამშობლო.

გ. თაბაგრის ბრიგადაც ერთ სამხედრო ნაწილში მიემგზავრება მაღაროს გარდამავალი წითელი დროშით და მაღაროელთა ფორმით.

რას ფიქრობენ თ. მაჭავარიანისა და გ. თაბაგრის ბრიგადები? სამხედრო ნაწილშიც გააგრძელონ შეჯიბრება, იყონ სანიმუშო დისციპლინისა და სწავლის განსახიერება, იქაც დაიპაკუთონ ნაწილის გარდამავალი წითელი დროშა...

მხედრული ვალის მოხდის შემდეგ? კვლავ დაუბრუნდნენ შრომლიურ მაღაროებს, დაუსწრებლად მიიღონ უმაღლესი განათლება...

გზა და გამარჯვება პატრიოტ მაღაროელებს!..

ჯ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

მიხვილ კალინინი საქართველოში

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის მიხეილ ივანეს-ძე კალინინის შესანიშნავ ბიოგრაფიაში ბრწყინვალე ფურცლად არის ჩაწერილი მისი მოღვაწეობა საქართველოში, კერძოდ თბილისში, სადაც იგი მეფის მთავრობამ პეტერბურგიდან ადმინისტრაციული წესით გადმოასახლა რევოლუციური მოღვაწეობისათვის. მას ამ დროისათვის რევოლუციური ბრძოლის უდიდესი სკოლა ჰქონდა გავლილი.

მ. ი. კალინინი დაიბადა 1875 წლის 19 ნოემბერს ტვერის გუბერნიის (ამჟამად კალინინის ოლქი) კორჩევკის მაზრის სოფელ ვერხნაია ტროიცაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1889 წელს დაამთავრა სოფლის 3-კლასიანი სკოლა და იმავე წელს 14 წლის ბიჭუკი შეავიდა პეტერბურგის ტექნიკურ სასწავლებელში.

1893-1898 წლებში მ. ი. კალინინი მუშაობდა პეტერბურგში ჯერ „სტარი არსენალის" ქარხანაში, შემდეგ კი პუტილოვის ქარხანაში, სადაც დაიწყო აქტიური რევოლუციური მოღვაწეობა. ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით იგი მონაწილეობას იღებს პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" შექმნაში და ამ კავშირის ერთ-ერთი აქტიური წევრი ხდება. იგი არალეგალურ მარქსისტულ წრეებს აწყობს პუტილოვის ქარხანაში, ნარვის კარისა და მოსკოვის კარის საწარმოებში და 1898 წელს შედის რსდმპ რიგებში. იმავე წლის 3 ივლისს იგი დააპატიმრეს პეტერბურგის „ბრძოლის კავშირის" საქმის გამო და 1900 წლის აპრილში ადმინისტრაციული წესით პოლიციის განსაკუთრებული ზედამხედველობით თბილისში გადმოასახლეს,

ყოფილ ავჭალის (ამჟამად ოქტომბრის) ქუჩა № 23 სახლზე გაკრული თეთრი მარმარილოს მემორიალური დაფა გვამცნობს, რომ „ამ სახლში 1900 წელს ცხოვრობდა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე მიხეილ ივანეს-ძე კალინინი".

მ. ი. კალინინს, როგორც პეტერბურგის ნარვის რაიონის „ცენტრალური ჯგუფის" ხელმძღვანელს, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ლენინის „ბრძოლის კავშირთან", დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა-განმტკიცებაში.

პეტერბურგიდან რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის პოლიციის მეთვალყურეობით ამერკაკავკასიაში გადმოსახლებული მ. ი. კალინინი ჩამოდის თბილისში და 1900 წლის 30 ივნისს მუშაობას იწყებს რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში ხარატად. იგი უკავშირდება ადგილობრივ სოციალ-დემოკრატებს და აქტიურად ებმება ხელმძღვანელ პარტიულ მუშაობაში. ეს ის პერიოდია, როცა რსდმპ თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით რკინიგზის სახელოსნოებში მიმდინარეობდა სერიოზული მზადება მუშათა გაფიცვებისათვის, გაშლილი იყო დიდი ორგანიზაციული და საგიტაციო მუშაობა, ეწყობოდა მუშათა არალეგალური კრებები, რომლებზეც მ. კალინინი, ი. სტალინთან, ზ. ჩოდრიშვილთან, მ. ბოჭორიძესთან და ს. ალილუევთან ერთად ფართო საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას ეწევა მუშათა შორის. მის ბინაზე იმართებოდა მუშათა არალეგალური კრებები და წრეების მეცადინეობა.

„თბილისში ჩამოსვლის ცოტა ხნის შემდეგ, — აღნიშნავს, მ. ი. კალინინი, — მე მომიხდა მოხსენების გაკეთება მუშათა მოძრაობის შესახებ პეტერბურგში. ამ მოხსენებაზე არალეგალურად შეიკრიბა 150-მდე კაცი, უმთავრესად -რკინიგზელები... იმ დროისათვის ის მეტად ხალხმრავალი კრება იყო და იგი ნიშნავდა, რომ რკინიგზის სახელოსნოებში უკვე არსებობდა საკმაოდ მტკიცე რევოლუციური ბირთვი".

მ. ი. კალინინის ენერგიული მუშაობით, რკინიგზის მთავარი სახელოსნოების სახარატო საამქრო სულ მალე რევოლუციური მოძრაობის კერად გადაიქცა. ძველი მუშა რევოლუციონერი ა. ზაკომოლდინი, რომელიც თბილისში მ. ი. კალინინთან ერთად მუშაობდა, იგონებს: „მ. კალინინის, ვ. სტურუას, ზ. ჩოდრიშვილის დავალებით რევოლუციური მუშები ნინუა, ზოოოტარიოვი, კოპალეიშვილი, სართანია და მე ვბეჭდავდით ჰექტოგრაფებზე ფურცლებსა და პროკლამაციებს. ამ მუშობის დროს, მ. კალინინმა, როგორც ჰექმარიტმა რევოლუციონერმა, თბილისელ მუშებს შორის მალე დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა".

მ. ი. კალინინის თბილისში ჩამოსვლისა და მასზე პოლიციის განსაკუთრებული მეთვალყურეობის დაწესების შესახებ ადგილობრივმა მმართველობამ დაუყოვნებლივ აცნობა პეტერბურგს. 20 ივნისს თბილისის პოლიციმეისტერმა მ. ი. კალინინს ჩამოართვა ხელწერილი, რომლის მიხედვითაც კალინინს არ ჰქონდა ქალაქიდან გასვლის უფლება და მისამართის შეცვლის ყველა შემთხვევა უნდა ეცნობებინა პოლიციისათვის.

რეპრესიების დროს, რაც 1900 წლის აგვისტოს განთქმული გაფიცვის დამთავრებას მოყვა, მ. ი. კალინინს რკინიგზის მთავარი სახელოსნოებიდან ათავისუფლებენ. ამიერკავკასიის რკინიგზის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი გუბერნატორს ატყობინებდა: „პოლიციის დეპარტამენტის მიერ გამოთქმული სურვილისამებრ ჩემი მოთხოვნით მ. ი. კალინინი 1900 წლის 13 სექტემბრიდან თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოებიდან დათხოვნილ იქნა".

მ. ი. კალინინმა საზღვარგარეთულ არალეგალურ გაზეთ „რაბოჩაია დელოსათვის" დაწერა ვრცელი კორესპონდენცია თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა გაფიცვის შესახებ.

მ. ი. კალინინმა, რომელსაც სამსახურის შოვნის საშუალება არ ჰქონდა და მეფის ოხრანკის განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა, გადაწყვიტა წასულიყო თბილისიდან, ამის შესახებ 1900 წ. 25 ნოემბერს თხოვნით მიმართა ხელისუფლებას, მაგრამ ამაზე პოლიციამ უარით უპასუხა. კალინინი რჩება თბილისში და ძველებურად გაწაგრძობს რევოლუციურ საქმიანობას.

მ. ი. კალინინმა მოახერხა მოწყობილიყო იარაღოვის მექანიკურ ქარხანაში ხარატად. მეფის „ოხრანკა" უბადლოდ ადევნებდა მ. კალინინის ყოველ ნაბიჯს. დასმენებში აღნიშნავდნენ მის აქტიურ როლს თბილისის იატაკქვეშა რევოლუციურ მუშაობაში, აღნიშნავდნენ, რომ ის ხელმძღვანელობს წრეებს, საფუძვლიანად არის გამოცდილი მუშათა პროპაგანდის საქმეში და დაკავშირებულია ბევრ რევოლუციურად განწყობილ მუშასთან.

„ეჭვნეულ იქნა, — ვკითხულობთ ჟანდარმთა სამმართველოს ერთ-ერთ ცნობაში, — რომ კალინინი ხშირად, თითქმის ყოველდღე დადის ყვირილის ქუჩაზე № 79 სახლში, სადაც ზედამხედველობის ქვეშ მყოფნი ცხოვრობენ".

1900 წლის 29 დეკემბერს სოციალ-დემოკრატიული მოღვაწეობისა და აგვისტოს გაფიცვებში აქტიური მონაწილეობის მიღების გამო მ. ი. კალინინი დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს. პოლიციის ცნობებით, დაპატიმრებისას გაჩხრეკის დროს მას აღმოაჩნდა „ტენდენციური ხასიათის თხზულება". მ. ი. კალინინი ციხეშიც არ წყვეტდა რევოლუციურ მუშაობას. მთავრობა ცდილობდა გამოეკვლია, რა კავშირი ჰქონდა მ. ი. კალინინს, რომელსაც „ჩაკიცის" ფსევდონიმით მიწერ-მოწერა ჰქონდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქში მუშათა რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილ ხელმძღვანელებთან. მაგრამ ჟანდარმერიამ კალინინის წინააღმდეგ „საქმე" ვერ შექმნა, რადგან დანაშაულის დასამტკიცებელი პირდაპირი საბუთი არ ჰქონდა.

1901 წლის 22 თებერვალს მ. ი. კალინინი ციხიდან გამოუშვეს მაგრამ 1901 წლის მარტში გაცემული იქნა განკარგულება, რომ იგი პოლიციის აშკარა ზედამხედველობის ქვეშ უნდა ყოფილიყო სამ წელიწადს, კრძალულიყო საუნივერსიტეტო ქალაქებში, სამრეწველო ცენტრებში და მათ შორის თბილისში ცხოვრება.

მ. ი. კალინინის გადასახლება დაჩქარებულ იქნა იმით, რომ პოლიციამ ეჭვი მიიტანა მის კავშირზე ვ. კ. კურნატოვსკისთან და სხვა გამოჩენილ რევოლუციონერებთან.

თავის საცხოვრებელ ადგილად მ. კალინინმა აირჩია ესტონეთის გუბერნიის ქალაქი რეველი (ამჟამად ქ. ტალინი), რომელიც იმ ხანებში ინდუსტრიული ქალაქის სასეს იღებდა და ამავე დროს ახლოს იყო პეტერბურგთანაც.

1901 წლის 19 მარტს მ. ი. კალინინი ეთხოვება თავის რევოლუციურ მეგობრებს და თბილისიდან რეველში მიემგზავრება.

თუმცა მ. ი. კალინინი თბილისში მხოლოდ ერთ წელიწადს იმყოფებოდა, მაგრამ მრავალფეროვანი მუშაობა გასწია სოციალ-დემოკრატებსა და მუშათა მასებში თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

იმ დიდი რევოლუციური გაქანების შესახებ, რომელიც მიიღო ამერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებსა და საერთოდ ამერკავკასიაში მუშათა მოძრაობამ მ. ი. კალინინი წერდა: „მაშინ მომეჩვენა, რომ თბილისში რევოლუციური მოძრაობა გაცილებით უფრო ფართო და ღრმა იყო, ვიდრე პეტერბურგში".

მ. ი. კალინინი აქტიურად მონაწილეობდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში. რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იგი არჩეულ იქნა პეტროგრადის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარედ.



1919 წლის მარტში მ. სვერდლოვის გარდაცვალების შემდეგ ვ. ი. ლენინის წინადადებით მ. ი. კალინინი არჩეულ იქნა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. „...ჩემს არჩევას ვუფურებ, — ამბობდა მიხეილ ივანეს-ძე, — როგორც მუშათა მასებთან გლეხობის მჭიდრო კავშირის სიმბოლოს, ვინაიდან ჩემი სახით გაერთიანებულია პეტროგრადის მუშა და ტვერის გლეხი".

მ. ი. კალინინი იყო მშრომელი მასების საყვარელი ადამიანი, რომელიც კარგად იცნობდა მათს საჭიროებას, გამორჩეულდა მათზე გავლენის განსაკუთრებული უნარით. მ. ი. კალინინის ეს შესანიშნავი თვისება თავის დროზე აღნიშნა ვ. ი. ლენინმა. „პეტროგრადის მუშები, — თქვა ლენინმა კალინინის შესახებ, — დარწმუნდნენ, რომ მას ეჭირვებოდა მშრომელი მასების ფართო ფენებისადმი მიდგომა, როცა მათ პარტიული მომზადება არა აქვთ. როცა პრობაგანდისტები და აგიტატორები ვერ ახერხებდნენ მათდამი ამხანაგურად და მარჯვედ მიდგომას, მაშინ ამ. კალინინი ახერხებდა ამ ამოცანის გადაჭრას. ამჟამად ყოველივე ეს განსაკუთრებით დიდ-ნიშვნელოვანია".

დიდი იყო ქართველი ხალხის სიხარული, როცა 1927 წლის 26 ივნისს ზაპეჩის გასასვლელ ზეიმზე საქართველოში ჩამოვიდა მ. ი. კალინინი. მიტინგზე სსრ კავშირის მთავარ ბანის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა მ. ი. კალინინმა. „თქვენი გამარჯვება, — განაცხადა მან, — ამავე დროს მთელი კავშირის გამარჯვებაც არის".

მიტინგის დამთავრების შემდეგ მ. ი. კალინინი საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან ერთად შევიდა საგენერალო მდივანში. 7 საათსა და 15 წუთზე მ. კალინინი სჭრის ფოთელ ლენტს. ელექტროდენმა შუქად იფეთქა. ათასობით დამაწრის ოვაციასა და შეძახილებში ამშვავდა პირველი დიდი ელექტროსადგური საქართველოში — ზაპეში, რომელმაც სამრეწველო დენი მიაწოდა ჩვენს დედაქალაქ თბილისს.

მ. ი. კალინინს მხურვალედ უყვარდა ქართველი ხალხი. 1940 წლის 29 ივნისს მ. ი. კალინინმა თბილისში თავისი ყოფნის ბოლო საღამო მოგონებაში ჯანაცხადა: „მე მიყვარს საქართველო. მე შემიყვარდა იგი მას შემდეგ, რაც პირველად ჩამოვედი საქართველოში, ე. ი. როდესაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი...

ქართველმა ხალხმა, საქართველოს მუშებმა ჩემში სიმპათიის ისეთი ანაბეჭდი დატოვეს, რომ აი ახლა, როდესაც უკვე 40 წელი გავიდა, ეს ანაბეჭდი ჩემს გულში მტკივნეულ ცოცხლობს".

მადლიერი ქართველი ხალხი მოწიწებით ინახავს დიდი რევოლუციონერის, ხალხთა ბელადის ინდივიდუალთან თავდადებული მეგობრობის. მ. ი. კალინინის ნათელ ხსოვნას. საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ტრიიცკოეს დაერქვა სოფელი კალინინი.

თბილისში მ. ი. კალინინის სახელს ატარებს დავყოფს კალინინის სახელობის ქუჩა, ქარხანა, რაიონი. სახარატო დაზგა, რომელზეც მ. ი. კალინინი მუშაობდა, ამჟამადაც დგას. როგორც ძვირფასი რელიკვია, ორთქლმავალი ვაგონ-სარემონტო ქარხნის სახარატო საამქროში. მ. ი. კალინინის ცხოვრება და მოღვაწეობა დღესაც აღაფრთოვანებს მშრომელებს ახალი საგმირო საქმეებისათვის კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

შ. გოგიძე.

ბოგდანოვკელი მეცხოველეები

ცაზე მზე ანთია და გულში შრომის ცეცხლი. მეტიც აოაფერი უნდა ოჯაღალარის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნიკოლოზ მარაბიანს. კანტორიდან სოფლის ბოლოს მიმავალ გზას დაუყვება, კარტოფილის ნათესებს მოიკლის. შემდეგ კი მარჯვნივ შემოუხვევს, გზა ფერმისაკენ აიღებს.

თავმჯდომარის შრომაში გარჯულ სახეს უჩვეულო ნათელი ადგას. იგი მეცხოველეობის ფერმის გამგეს სოგრატ ანესიანს თავისთან იხმობს და საქმიან რჩევა-დარიგებას აძლევს.

— რამდენი ძროხა იწველება დღესდღეობით? — ეკითხება თავმჯდომარე ნ. მარაბიანი.

— ასორმოცი, — უპასუხებს ფერმის გამგე ს. ანესიანი და მზერას მწველავ ფენია თაზაიანს უსწორებს. მის მეურვეობაში მყოფი ძროხები „არაქსი", „ნიოგზი" და სხვები ყოველდღე 22-25 კილოგრამამდე რძეს იწველიან.

ღალიანობას ხომ ქენი არ სჭირდება, მთის კოლმეურნეობაში წელიწადს ყოველ დროს წველადობის სტაბილურობის დაცვა ძნელიაო, იტყვიან ზოგნი. აბა, მობრძანდით ოჯაღალარში და ნახეთ ალვარ ანესიანი, ფენია თაზაიანი და სხვა ფწველავები, გაეცნით მათს გმირულ საქმეებს!

...სოფელი ოჯაღალარი ხობების ბუდესავით ძიკერია თრიალეთის უბე-კალთებს. რაიონულ ცენტრ ბოგდანოვკიდან სოფლამდე ფვიდიოდე კილომეტრი იქნება. და როცა თვალს მოავლებთ ამ სოფლის შემოგარენს, სიამის უზომო განცდა დაგეუფლებათ. აქაურ კოლმეურნეებს ქვა ქვაზე დაუდვიათ, უბანი უბანს მიმატებია, 290 კომლიან სოფელს ეკონომიურად ძლაგრი კოლმეურნეობა შეუქმნია.

— ჩვენი სიმდიდრისა და სასახელო საქმეების ძირითადი დარგი მეცხოველეობაა, — გვაცნობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. მარაბიანი. მიგვყავს მეძროხეობისაკენ. მოგვყავს კარტოფილი, მაგრამ არსებულ პირობებში ის, რასაც ძროხა და ცხვარი გვაძლევს, მეშინდვრეობას ჯერ არ ძალუძს.

ოჯაღალარელთა მეძროხეობის ფერმაში სულ 153 მეწველია. ერთ ძროხაზე წელს გეგმით 1.560 კილოგრამი რძე უნდა მოწველონ. პირველი ნოემბრისათვის თვითეული ძროხის წველადობამ 2.200 კილოგრამს გადაამეტა. სახელმწიფოს 220-ის ნაცვლად 227 ტონა რძე მიჰყიდეს. ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა კი ნოემბრის დღესასწაულისათვის 120 პროცენტით შესრულდა. მეცხოველეობიდან ფულადმა შემოსავალმა 122 ათასის ნაცვლად 124 ათასი მანეთი შეადგინა. ოჯაღალარში ვარაუდობენ ეს რიცხვი წლის ბოლოსათვის 130 ათასი მანეთამდე გაზარდონ.

...და როცა დაგინტერესებთ აქაურ მეცხოველეთა შრომითი საქმეები, პირველ რიგში ცოლ-ქმარ ფენია და არტაშ თაზაიანებს, ალვართ ანესიანს, ირმაკინ თაზაიანსა და სხვებს დაგისახელებენ. თვითეული მათგანი 12 ძროხას უვლია და ნოემბრისათვის წველადობა თითო ძროხაზე 2.300-2.500 კილოგრამამდე აიყვანეს.

ფენია თაზაიანი შვიდი წლის წინ მეხბორედ მუშაობდა. მეცხოველისათვის საჭირო წესებს აქვე დაეუფლა. კოლმეურნეობის გამგეობამ მწველავად დაიწინაურა. ახალგაზრდა გოგონამ ნდობა გაამართლა, ბოლო 5 წლის მანძილზე თითო ძროხის წველადობა ორმაგად გაიზარდა. შრომადღეების რიცხვმა 250-დან 650-700 მიაღწია. ამიტომ იყო, რომ ოჯაღალარელი მწველავი თანასოფლელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ამას წინათ იგი პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს.

ფენიამ სასახელო შრომაში გაიცნო გული სწორი არტაშ თაზაიანი, მოწინავე მწველავებმა ეკონომიურად მტკიცე ოჯახი შექმნეს, სოფლის ცენტრში ლამაზი სახლი აიშენეს, ფულადი დანაზოგი წელს კი მსუბუქი ავტომანქანა შეიძინეს.

კვლავ მოუღელავად შრომობენ გამარჯვებას ჩვეული მწველავები.

ოჯაღალარელთა ფერმებში დღეღამის განმავლობაში არ ცხრება შრომა. მოწინავე მწველავები ნაზი ტონიანი, ზელმძღვანელი ანესიანი, ირმენ თაზაიანი და სხვები ათ-ათ ძროხას უვლიან. ისინი იძულებულნი იბრძვიან, რომ თითო ძროხის საშუალო წველადობა 2.000-დან 2.500 კილოგრამამდე გაზარდონ.

მეცხოველეობაში წარმატებები თავისით რომ არ მოდის, ოჯაღალარელებმაც კარგად იციან. კეთილმოწყობილი სადგომები, მტკიცე საკვები ბაზა, სიახლის ძებნა — აი ის საშუალებები, რითაც შეიძლება პირუტყვის გამრავლება, მისი პროდუქტიულობის ამაღლება. ყოველივე ამაზე კოლმეურნეობის გამგეობის ჩანაწერებში სასიხარულო ციფრებს ეკითხულობთ: წელს ცხვრისათვის დამატებით აშენდა ერთი ფარეხი, აქვე მოეწყო მწყემსთა კეთილმოწყობილი სადგომი, დამზადდა 724 ტონა თივა, 716 ტონა სილოსი, 1.457 ტონა უხეში საკვები და კონცენტრატები.

ფერმებში სიახლეთა დანერგვამ და გაწეულმა შრომამ სასურველი შედეგი გამოიღო. ერთი ცენტნერი რძის ღირებულებამ 15 მანეთის ნაცვლად 12 მანეთი და 50 კაპიკი შეადგინა. შარშანდელთან შედარებით მეცხოველეობის პროდუქტების ღირებულება 25 პროცენტით შემცირდა, ფულადი შემოსავალი კი 15 პროცენტით გაიზარდა.

ქაჩალგორის ქონგურ-ფლატეებიდან ქრის. სოფლის გზაზე მიაბიჯებს გორელოკის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვასილ ტომილინი და გულზე შემომდგარ ფიქრებს ვეღარ იცილებს.

— საინტერესოა, რისთვის დარეკეს რაიკომიდან, რაზე გვიბარებენ, თანაც მოწინავე მწველავები შეარჩიეთო...

დაგვიბარებენ, მაშ რა იქნება, რომ ვიკისრეთ, შვიდწლედის დამამთავრებელ წელს მსხვილფეხა პირუტყვის სულდობას 2,200 სულამდე გავზრდითო, ამას ხომ შესრულება უნდა. სამეურნეო წელი იწურება, შედეგები ჯამდება, ალბათ მოწიხავე მწველავებს გარჯას შეუქებენ, წაახალისებენ...

...ჰო და, ფიქრობს ვასილი, გორელოკის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი, ოცდახუთი თუ ოცდაშვიდი წლის ზოოტექნიკოსი.

...გორელოკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პირუტყვი ზაფხულს ქაჩალგორისა და ფარავნის ტბის სანაპიროს საზაფხულო იალაღებზე ატარებდა. მეძროხეობისა და მეცხვარეობის ფერმები მონამგლეებად იდგნენ ორაჯალარისა და ბოგდახოკის რაიონის სხვა კოლმეურნეობების მეცხოველეებთან. სწორედ აქ, თრიალეთის მთების ამ მასივზე, შეიტყეს გორელოკელებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სექტემბრის პლენუმის დიადი გადაწყვეტილებების ამბავი. გმირულ შრომას ჩვეულ მწყემსებთან მისულიყვნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალექსანდრე ბარბაშა, ზოოტექნიკოსი ვასილ ტომილინი; მწყემსებისათვის ახალი ჟურნალ-გაზეთები მიეტანათ. პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის პასუხად გორელოკელ კოლმეურნეებს შრომის ახალი ეალდებულებები ეკისრათ.

გორელოკელთა მსხვილფეხა პირუტყვის ფერმაში 2.140 სულზე მეტია. აქედან მარტო 810 მეწველია. წელს, ნოემბრისათვის 800-ზე მეტი ხბო გაზარდეს. ხარობდა მეწველი პირუტყვის ფერმის გამგე ვასილ ჩიკალდეევი. გაზრდილი ეალდებულებანი რომ იკისრეს, ეს ხომ აქაურ მეცხოველეებს ახალი საგმირო საქმეებისათვის ალასტებს!

...მარტო № 1 ფერმაში 74 მწველავია. ანასტასია მარკინას, ლუჩა სმოროდინას და სხვებს მწველავად მუშაობის მრავალი წლის გამოცდილება აქვთ. თვითეულმა მათგანმა საშუალოდ ერთ ძროხაზე გეგმით 1.517 კილოგრამი რძე უნდა მიიღოს. განვლილ ცხრა თვეში მათ 24 ძროხაზე 60.000 კილოგრამი რძე მიიღეს.

ფერმაში მეცხოველეთა უმრავლესობას ახალგაზრდები შეადგენენ და ახალ წარმატებათა მოპოვებაში ლამის გამოცდილნი დასჯაბნონ. თანამოსაქმეთა შორის არიან მეხბორეები ლენა მაკასეევა და ანა კრასნიკოვა. თვითეულმა მათგანმა წელს 60 ხბო გაზარდა და პრემიად თითო ხბო დაიმსახურა. გორელოკელ გოგონებს ცხრა თვეში 1.000 შრომადღეზე მეტი აქვთ გამომუშავებული და, როგორც ისინი ამბობენ, სამეურნეო წლის ბოლოსათვის შრომადღეებზე ათასობით მანეთი ერგებათ.

მომდინარე წლის განვლილ პერიოდში გორელოკის კოლმეურნეობამ მეცხოველეებს შრომის დამატებითი ანაზღაურებისათვის ათასობით მანეთი მისცა. მარტო ახალგაზრდა მეცხოველეებს პრემიად 10 ხბო ერგოთ.

მაღალმთიან ბოგდანოვკის რაიონში სოფელ გორელოკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა ყველაზე მძლავრი სასოფლო-სამეურნეო არტელია. მსხვილფეხა საქონლის ჯოგებთან ერთად 10.000 სული ცხვარ-თხლი ჰყავთ.

სოფლის ეკონომიურ ზრდას, მისი წინსვლის გზებს უნარიანად წარმართავენ კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ა. ბარბაშა) და პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

გორელოკელებმა მიმდინარე წლის ცხრა თვეში სახელმწიფოს 917 ტონა რძე, 203 ტონა ხორცი მიჰყიდეს. ფულადმა შემოსავალმა 1 მილიონ 130 ათას მანეთზე მეტი შეადგინა. ეს კი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 315.000 მანეთით მეტია.

ოჯაღალარელ მოსულნ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, ზოოტექნიკოსები, ვეტექიმები, მეცხოველეობის ფერმების გამგეები, მოწინავე მწველავები... აჯამებენ მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში მოპოვებულ წარმატებებს, კისრულობენ ახალ, გადიდებულ ვალდებულებებს.

ბოგდახოკის რაიონის მშრომელებმა მომდინარე წლის ათ თვეში სახელმწიფოს 8.220 ტონა რძე, 1.944 ტონა ხორცი, 275 ტონა მატყლი, 846 ათასი ცალი კვერცხი მიჰყიდეს. პროდუქციის ღირებულებამ სულ 4 მილიონ 700 ათასი მანეთი შეადგინ

ყველაზე ახალი, ყველაზე მრისხანე იარაღი

გვესაუბრება სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების მთავარსარდლის პირველი მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი
ვ. თ. ტოლუბკო

მახლოდ რვა წელი გავიდა იმ დღიდან, როცა წითელ მოედანზე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ ტრადიციულ სამხედრო პარადზე პირველად უჩვენეს ახალი მრისხანე იარაღი—საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები. ახლა კი სარაკეტო ჯარები საბჭოთა არმიის მთავარი საცეცხლე ძალაა.

მერაკეტეთა და არტილერისტთა დღესასწაულთან დაკავშირებით საკდესის კორესპონდენტი ესაუბრა სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების მთავარსარდლის პირველ მოადგილეს გენერალ-პოლკოვნიკ ვ. თ. ტოლუბკოს. პირველი კითხვა ასეთი იყო:

— რატომ არის, რომ რაკეტებმა ძალიან მალე მოიპოვეს საყოველთაო აღიარება?

— იმიტომ, რომ დღეს არ არის ბრძოლის სხვა ისეთი გამანადგურებელი საშუალებანი, როგორც რაკეტებია, — თქვა გენერალმა. — რაკეტების საცეცხლე ძალა მრავალჯერ აღემატება ყოველგვარი სხვა იარაღის სიმძლავრეს.

— უფრო კონკრეტულად ხომ ვერ გვეტყვით?

— რა თქმა უნდა. ჩვენი სარაკეტო ჯარების ძირითადი იარაღია ატომურმუხტიანი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები. მათ სტარტის აღება შეუძლიათ ყოველ ამინდში, ფრენის სიმაღლე ფაქტიურად შეუზღუდველია, და შეუძლიათ დედამიწის ყოველ რაიონში დიდი სიზუსტით მიიტანონ კოლოსალური სიმძლავრის თერმოატომური ბომბები და ამასთანავე სრულიად მიუწვდომელი არიან მოწინააღმდეგისათვის.

რაც შეეხება აფეთქების ძალას, იგი კოლოსალურია. საზღვარგარეთის პრესაში ნათქვამი იყო, რომ 10 მეგატონის სიმძლავრის ატომური მუხტი მთლიანად აწგრეს ყველაფერს რამდენიმე ასეულ კვადრატულ კილომეტრ ფართობს. მაგრამ ეს ხომ ყველაზე დიდი მუხტი არ არის. შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი შედარება: ერთი ატომური მუხტის აფეთქების დროს უფრო მეტი ენერგია გამოიყოფა, ვიდრე ჭონდა ყველა იმ ავიაბომბს, ნაღმსა და ჭურვს, რომლებიც პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს იყო გამოყენებული.

ჩაუფიქრდით ყოველივე ამას და მიხვდებით, თუ რა ეშმარიტად მრისხანე და დიდი ძალა სტრატეგიული რაკეტები.

საბჭოთა რაკეტების მიზანში მოხვედრების დიდი სიზუსტე არაერთგზის იყო თვალსაჩინოდ ნაჩვენები 10 ათას კილომეტრზე უფრო შორს რაკეტების გაშვებისას. ეს ნიშნავს, რომ ჩვენს რაკეტებს შეუძლიათ მოსპონ ყოველგვარი მიზანი პირველი გაშვებისთანავე.

ჩვენს სტრატეგიულ რაკეტებს აქვთ თავიანთი ასამძოვავებელი დანადგარები უმაგალითო სიმძლავრის ძრავები. სტრატეგიულ რაკეტებს აქვთ მთელი რიგი სხვა, მეტად მაღალი ტექნიკური მაჩვენებლები.

— რა არის საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა?

— ეს არის წაგრძელებული ცილინდრული კორპუსი, რომელსაც წაწოვტებული თავი აქვს. კორპუსში დამონტაჟებულია მართვის აპარატურა. მისი კუდის ნაწილი იღებენ შვიდ ძრავა, ხოლო თავში განლაგებულია ასაფეთქებელი ნივთიერება. ეს არის და ეს.

— ბოდიში, მართლაც მარტივია, სანამ საქმე წვრილმანებს ეხება?

— მართალი ბრძანდებით.

— ძალიან ხშირად, როცა საქმე ეხება ხოლმე ჩვენი რაკეტული იარაღის ეფექტიანობას, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ იგი დიდად საიმედოა და შემცირდა რაკეტების გაშვების მომზადების ვადები, ხომ ვერაფერს იტყვით ამის შესახებ?

— მაშინ უნდა დაწვრილებით ვიელაპარაკოთ. რაკეტების საიმედოობა და მათი გაშვების მომზადების ვადების შემცირება ჩვენი ნაწილების საბრძოლო მომზადების ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ავიღოთ საარტილერიო ქვეშები, თვითმფრინავი თუ წყალქვეშა ნავი. მათ გულდასმით და ყოველმხრივ შეამოწმებენ, ვიდრე არმისა თუ ფლოტს გადაცემენ. მრავალტონიან ბალისტიკურ რაკეტას წინასწარ ფრენაში ვერ შეამოწმებ—იგი აფრინდება ხოლმე მხოლოდ ერთხელ. ამიტომ, საჭიროა, რომ მისი გაშვება დროს რაკეტის ყველა სისტემა დასახული პროგრამის შესაბამისად ამუშავდეს. ამიტომ, როცა ელაპარაკობენ რაკეტების დიდ საიმედოობაზე, ხაზგასმით აღვნიშნავთ მათ ტექნიკურ სრულყოფას, ჩვენი ოფიცრების, სერჟანტების, ჯარისკაცებს ოსტატობას. რადგან ცნობილია შემთხვევები, როცა მართვის სისტემაში უწესივრობისა თუ სხვა რაიმე მიზეზების გამო მათი გაფრენა წარუმატებლად მთავრდებოდა ხოლმე. ერთხელ ამერიკის შეერთებულ შტატებში, კენედის კონცხიდან მიწისქვეშა შახტიდან გაუშვეს სამსაფეხურიანი რაკეტა. მას უნდა გაეფრინა 8 ათასი კილომეტრი. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ — რაკეტა სულ სხვა მიმართულებით გაფრინდა. კიდევ კარგი, რომ მოხერხდა მისი ჰაერშივე მოსპობა. გაზეთებში შეხვდებით ცნობებს სხვა ამგვარი შემთხვევების შესახებაც.

ჩვენი რაკეტის მომზადება საბრძოლო გაშვებისათვის დიდ დროს არ საჭიროებს.

— თვით რაკეტების სახელწოდება — „ბალისტიკური" — დაკავშირებულია ჟურნალ ფრენასთან. სახელდობრ როგორ?

— ცნობილია, რომ ბალისტიკა არის მეცნიერება ჭურვის ან ნაღმის მოძრაობის შესახებ. მაგალითად, ავიღოთ ნაღმი: დენთის გაზების მოქმედებით იგი ვარდება ნაღმსატყორცნის ლულიდან, ადის ჯერ მაღლა, შემდეგ კი ეცემა დანიშნულ კვადრატში.

ასეთი, მაგრამ მიზნის სიშორის გამო უფრო ძლიერი ტრაექტორიით მიფრინავს რაკეტაც. განსხვავება ის არის, რომ პირველ, ეგრეთ წოდებულ აქტიურ მონაკვეთზე, რაკეტას სიჩქარეს ანიჭებს რეაქტიული ძრავა. როცა რეაქტიული ძრავა წყვეტს მუშაობას, ატომური მუხტი სცილდება მატარებელი რაკეტის უკანასკნელ საფეხურს, რამდენიმე ხნის განმავლობაში ინერციით განაგრძობს მაღლა მოძრაობას, შემდეგ კი თავისუფლად ვარდნილი სხეულის კანონების შესაბამისად ძირს ეცემა. როგორც ხედავთ, საერთო, ბევრი რამ არის.

— ესე იგი, რაკეტის ძრავა დიდხანს არ მუშაობს?

— დიახ, მისი მუშაობის დროს მერაკეტენი წამებით ზომავენ. იგი დამოკიდებულია მიზნამდე მანძილზე.

— რა სიჩქარით მიფრინავს რაკეტა?

— ათჯერ უფრო მეტი სიჩქარით, ვიდრე ზარბაზნის ჭურვის დაწყებითი სიჩქარეა. 10 ათას კილომეტრს (პირდაპირი მიმართულებით) ფარავს 30 წუთში.

— ხანამ საუბარს დავამთავრებდეთ, კიდევ ერთი შეკითხვა: რატომ არის, რომ რაკეტებმა, რომლებსაც საბრძოლო ჭურვების გადასატანად ხმარობდნენ ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნის წინათ, შემდეგ დაკარგეს მნიშვნელობა, ახლა კი წამყვანი ადგილი დაიკავეს თანამედროვე არმიათა შეიარაღებაში?

— ის, ძველი რაკეტები, — თქვა გენერალმა, — ძალიან არასრულყოფილი იყო, და არსებითად მათი მართვა არ შეიძლებოდა, ამიტომ, როცა ეთხოვნენ ლულიანი ატრელერია გაჩნდა, რომელიც უზრუნველყოფდა კარგ სიზორესა და ბურჩნად მოხვედრებს, რაკეტები დავიწყეს.

ჩვენმა დიდმა თანამემამულემ კ. ე. ციოლკოვსკიმ პირველად გვიჩვენა, თუ რა კანონებს ემორჩილება რაკეტა ფრენის დროს, როგორ უნდა გამოვიანგარიშოთ ფრენა. მაგრამ იმისათვის, რომ რაკეტმშენებლობას მიეღწია დღევანდელი დონისათვის მეტალურგებს უნდა შეექმნათ მხურვალმტკიცე შენადნობები, ქიმიკოსებს კი ძლიერ დიდალორიული საწვავი. უნდა შექმნილიყო ინდუსტრიის ახალი დარგი რადიოელექტრონიკა, და ბოლოს, უნდა შექმნილიყო ატომური იარაღი, რადგან მარტივი ასაფეთქებელი ნივთიერების სროლა სტრატეგიული რაკეტებით მიზანშეწონილი არ იქნებოდა, რადგან დიდძალი სახსრები დაიხარჯებოდა, ხოლო ეფექტი, კი სტრატეგიულ სომარ ამოცანათა გადაწყვეტის თვალსაზრისით, უმნიშვნელო იქნებოდა.

ვლადიმერ თეოდორეს-ძე ტოლუბკომ განაცხადა, რომ საბჭოთა სარაკეტო ტექნიკა კვალდაკვალ მოჰყვება დროს, მას ემსახურება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები.

რაკეტული იარაღი განუწყვეტლივ ვითარდება და სრულყოფილ ხდება, მაღლდება რაკეტებისა და საბრძოლო ტექნიკის საბრძოლო თვისებანი, მარტივდება მათი ექსპლოატაცია.

რაკეტული იარაღის გაუმჯობესება ხორციელდება აგრეთვე რაკეტების კონსტრუქციის გამარტივების, მათი წონისა და გაბარიტის შემცირების, მომზადებისა და გაშვების პროცესების ავტომატიზაციის სრულყოფის, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის დასაძლევი აპარატურით აღჭურვისა და სხვა ღონისძიებათა განხორციელების გზით, რომლებიც ადიდებენ რაკეტული იარაღის საბრძოლო შესაძლებლობებს.

გენერალმა ხაზი გაუსვა, თუ რა მნიშვნელობა აქვს რაკეტულ-ატომურ იარაღს თანამედროვე ომში და თქვა, ჩვენი სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების სიძლიერეს მარტო პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკა როდი განაპირობებს. ჩვენი უპირატესობა მოსალოდნელ მეტოქეზე იზრდება საბჭოთა მეომრების უმაგალითო მორალურ-პოლიტიკურ და საბრძოლო თვისებებით, მათი პოლიტიკური შეგნებულობით, სამშობლოსადმი, პარტიისა და ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულებით, თავისი პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობისადმი ერთგულებით.

უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც ყოველ მერაკეტე მეომარს აკისრია, მათგან მოითხოვს განსაკუთრებულ ორგანიზებულობას, დიდ ტექნიკურ ცოდნას, ზუსტად შესრულებას, ჩინებულ დისციპლინას.

წლითიწლობით სარაკეტო ჯარებში განუხრელად მაღლდება ტექნიკური ცოდნის, მხედრული ოსტატობის დონე, მრავლდება საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულთა რიგები, წარჩინებული ჯგუფეულების, ქვეგანყოფილებისა და ნაწილების რიგები.

მაგრამ, მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, მერაკეტენი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა მეომარი, მიღწეულს როდი სჯერდებიან, როდი ყოყოჩობენ. მათ ესმით, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა დაკისრეს ხალხმა და პარტიამ, როცა ისინი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესების დაცვის წინა ხაზზე დაყენეს. ისინი ცდილობენ გაამართლონ ეს დიდი ნდობა იმით, რომ იმაღლებენ თავიანთ მხედრულ ოსტატობას, სიფხიზლესა და საბრძოლო მზადყოფნას. ახლა სარაკეტო ჯარებში დაიწყო პატრიოტული მოძრაობა პარტიის XXIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით შექმნილი სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარები გამოირჩევიან მაღალი საბრძოლო მზადყოფნითა და სხვა საბრძოლის შეიარაღებული ძალების მებრძოლებთან ერთად ფხიზლად დგანან სოციალისტური სამშობლოს საღამოჯოზე, განაცხადა დასასრულ გენერალ-პოლკოვნიკმა ტოლუბკომ. საბჭოთა კავშირის რაკეტულ-ატომური ძლიერება კარგი დამაკავებელი საშუალებაა ყოველი აგრესორისათვის. ატომური იარაღისა და მათი მიტანის სრულყოფილი საშუალებების მარაგი, რაც ჩვენს ქვეყანას აქვს, მთლიანად უზრუნველყოფს მთელი სოციალისტური ბანაკის თავდაცვის საჭიროებებს.

სურათზე: მარცხნივ — ტაქტიკური მეცადინეობა. საარტილერიო ტექნიკის გადმოტვირთვა სატრანსპორტო თვითმფრინავებიდან მეცადინეობის რაიონში; მარჯვნივ ზემოთ — სახმელეთო ჯარების რაკეტები მარშზე.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

ხალხთა პროგრესი

ოსლო. ნორვეგიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება არ ცნოს იან სმიტის რეჟიმი, იუწყება „აფტენოსტენი". რაც შეეხება ეკონომიურ სანქციებს სამხრეთ როდეზიის მიმართ, მთავრობას განზრახული აქვს იმოქმედოს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

მოგადიშო. სომალის მთავრობამ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის გენერალურ მდივანს სთხოვა მოიწვიოს აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს საგანგებო ხხდომა იმ ვითარების განსახილველად, რომელიც სამხრეთ როდეზიაში შეიქმნა იმასთან დაკავშირებით, რომ სმიტის მთავრობამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. შეხვედრის ადგილად ნავარაუდევია ზამბიის დედაქალაქი ლუსაკა ან ტანზანიის დედაქალაქი დარ-ეს-სალამი.

ქანბერა. ავსტრალიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ეკონომიური სანქციები განახორციელოს იან სმიტის მთავრობის წინააღმდეგ.

ავსტრალია, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა მენზისმა, ამიერიდან კრძალავს იარაღისა და ფორმის ტანსაცმლის ექსპორტს როდეზიაში, წყვეტს როდეზიული თამბაქოს იმპორტს, აგრეთვე წყვეტს შეღავათიანი საბაჟო ტარიფების მოქმედებას როდეზიის საქონლის მიმართ. მენზისმა თქვა, რომ ავსტრალიის მთავრობა გაიწევს თავის სავაჭრო წარმომადგენელს სოლსბერიდან.

აკრა. განამ წინადადება წამოაყენა, რომ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს საგანგებო სესია სამხრეთ როდეზიის საკითხზე გაიმართოს 27 ნოემბერს აკრაში. განამ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის სამდივნოს სთხოვა აუწყოს, თუ როდის და სად აქვთ განზრახული სესიის გამართვა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის სხვა მონაწილე ქვეყნებს, რომელთაგან ბევრმა პრინციპულად უკვე მხარი დაუჭირა საგანგებო სესიის მოწვევის იდეას. განამ აგრეთვე წინადადება წამოაყენა, რომ სესიაში მონაწილეობა მიიღონ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა არა მარტო საგარეო საქმეთა მინისტრებმა, არამედ სამხედრო მინისტრებმა და შტაბების უფროსებმაც. (საკდესი).

ჯ. ვილსონის გამოსვლა

ლონდონი, 18 ნოემბერი. (საკდესი). ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჰაროლდ ვილსონმა სიტყვა წარმოთქვა სამხრეთ როდეზიისათვის განკუთვნილი რადიოგადაცემის დროს. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგლისს არ სურს გამოიყენოს სამხედრო ძალა რასისტების ასალაგმავად.

განაცხადა რა შემდეგ, რომ ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება სამხრეთ როდეზიაში ახლა არის ინგლისის გუბერნატორის ხელისუფლება, ვილსონმა თქვა, რომ ინგლისის მთავრობა ცდილობს მიაღწიოს გუბერნატორის ხელისუფლების აღიარებას. ინგლისის გუბერნატორის წინაშე დგას ამოცანა შეადგინოს დროებითი მთავრობა, რომელიც შეარჩევს თავის მოვალეობებს საყოველთაო არჩევნების მოწყობამდე.

სრულიად გაურკვეველი რჩება, თუ ვინ ბანს ამირებს ვილსონი მიაღწიოს მას, რომ სამხრეთროდეზიელმა რასისტებმა ცნონ ინგლისის გუბერნატორისა და ნავარაუდევი დროებითი მთავრობის ხელისუფლება. როგორც აქ გამოირკვა, რასისტებმა გუბერნატორი გადაყენებულად გამოაცხადეს და ამ პოსტზე დანიშნეს თავიანთი კაცი.

სწორი ხაზით

კელსინკი, 17 ნოემბერი. (საკდესი). ნდობა ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის გასული წლის მანძილზე კიდევ უფრო განმტკიცდა, განაცხადა ფინეთის პრემიერ-მინისტრმა ი. ვიროლაინენმა, რომელმაც ამ დღეებში სიტყვა წარმოთქვა ქალაქ ოულუს აკრარული კავშირის საოლქო ორგანიზაციაში.

პრემიერ-მინისტრმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ფინელი ხალხის უმრავლესობა დარწმუნდა, რომ სწორია მთავრობის საგარეოპოლიტიკური ხაზი, რომელსაც ომისშემდგომ წლებში ახორციელებს.

წერილი სიკვდილის წინ

ნიუ-იორკი, 18 ნოემბერი. (საკდესი). ბევრი იმ ამერიკელი ჯარისკაცის შობლები, რომლებიც ვიეტნამის ბინძურ ომში მონაწილეობენ, წერილებს იღებენ შვილებისაგან. წერილებში შვილები სთხოვენ შინ დაბრუნონ. აი ერთ-ერთი წერილი, რომელიც ასოციეიტედ პრესის საგენტომ გადმოსცა რედაუდიტიდან (კალიფორნია).

წერილის ავტორია 21 წლის რიგითი ჯარისკაცი დევიდ კარნიველი. იგი შობლებს წერს: „ვიტანჯები, ვიტანჯები იმის გამო, რასაც ვაკეთებ, მტანჯავს ისიც, რაც ჩემს მეგობრებს შეემთხვათ. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს უკვე ანი წლისა ვიყო. გთხოვთ, ყველაფერი გააკეთოთ ჩემთვის, რაც შეგიძლიათ. მამა, არ მინდა სიკვდილი. როგორმე, მიხსენით".

ექვსი თვე გაატარა დევიდმა დამსჯელთა არმიაში ვიეტნამში. მისი წერილი შშობლებმა ოთხი დღის წინ მიიღეს. ამ ცოტა ხნის წინათ კი მოუვიდათ ცნობა, რომ მათი შვილი დაიღუპა სამხრეთვიეტნამელ პარტიზანთა წინააღმდეგ ბრძოლებში ნიაჩანგის ხეობაში.

„ხალხის სახელით"

მონტევიდეო, 17 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ელშოვი იუწყება: ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დინ რასკის ვიზიტმა ურუგვაიში მხოლოდ ერთ-ერთ ასეთთანხვედრას გასტანა. მიუხედავად ხანმოკლე ყოფნისა და ურუგვაელ ჟურნალისტთა ძალისხმევისა, ამერიკელ სტუმარს ბევრი უსიამოვნო წუთის გადატანა მოუხდა.

ამ დროს, როცა რასკი მახეანიდან გადმოვიდა დამოუკიდებლობის მოედანზე, პოლიციის კორდონი გაარღვია ახალგაზრდების ჯგუფმა, რომელმაც სახეში მიაყარა შემდეგი შინაარსის ფურცლები: „ვიეტნამელთა და დომინგოელთა ბალელ, წადითრიე ურუგვაიდან!", „წინააღეუდგეთ ამერიკელ ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს!". ხოლო ოფიცერ რასკმა ურუგვაელთან შემაკო ეროვნული გმირის ხოსე არტიგასის ძეგლი. ერთ-ერთი ახალგაზრდა ურუგვაელი ხალხს გამოეყო, გადაბიჯებულმა შეაფურთხა რასკს სახეში და მიაძახა „ეს ხალხის სახელით".

ფურცლებით არაერთ იცის რასკის იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ჰქონდა საგარეო საქმეთა მინისტრთან ვიდელ საგლოსთან, შემდეგ კი მთავრობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარესთან ვაშინგტონ ბელტრანთან, აქ ვარაუდობენ, რომ მოლაპარაკებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. სანამ რასკი მთავრობის სახლში მივიდოდა, იქ გაიმართა მთავრობის ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელმაც საბოლოოდ და ერთსულოვნად დაამტკიცა თავისი დელეგაციის ინსტრუქციები ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის კონფერენციაზე. ურუგვაის მთავრობა, ნათქვამია ამ ინსტრუქციებში, დაბეჯითებით იცავს ჩაურევლობისა და თვითგამორკვევის პრინციპებს და მიიჩნია, რომ ეს არის „უპირველესი დაცვა იმათი ხელყოფისაგან, ვინც ცდილობს პოლიტიკური მეურვეობა დაუწესოს სხვა ქვეყნებს, და შეიარაღებული ინტერვენციაც კი მოაწყოს". ურუგვაის ოფიციალურ წარმომადგენლებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ ისინი გადაჭრით გაილაშქრებენ ამერიკის ქვეყნების შეიარაღებული ძალების შექმნის წინააღმდეგ. როგორც გაზეთი „დიარიო" იუწყება, ურუგვაის დელეგაციამ მიიღო სიტყვიერი დაკალება ასეთი ძალების შექმნის წინააღმდეგ მისცეს ხმა, თუ ეს საკითხი აღიძრა კონფერენციაზე, რადგან ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას „უფლება არა აქვს" მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება.

საერთაშორისო ცხოვრება

საერთაშორისო ერთიანობა

დღის წესრიგშია განიარაღება

ნიუ-იორკი, 18 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XX სესიის პოლიტიკურმა (პირველმა) კომიტეტმა დაიწყო განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის საკითხის განხილვა.

ამ პუნქტის იხილავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, რომელმაც ამა წლის 15 ივნისს მიიღო რეზოლუცია კონფერენციის მოწვევის შესახებ. ეს რეზოლუცია წარადგინეს აფრიკა-აზიის 34 ქვეყანამ, ტრინიდადმა და ტობაგომ და იუგოსლავიამ.

აღნიშნულ რეზოლუციაში კომისიამ კვლავ დაადასტურა მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კაიროს 1964 წლის ოქტომბრის მეორე კონფერენციის წინადადება, რომელშიც, კერძოდ, ხაზგასმული იყო, რომ განიარაღების მსოფლიო კონფერენციაზე უნდა მიიწვიონ ყველა ქვეყანა.

კომიტეტის სხდომაზე გამოვიდნენ ალჟირის, იუგოსლავიისა და საუდის არაბეთის წარმომადგენელნი.

კომიტეტის განსახილველად შეტანილია 36 ქვეყნის რეზოლუციის ახალი პროექტი, რომელიც სთხოვს გენერალურ ასამბლეას მოიწოლოს მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მეორე კონფერენციის წინადადება განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელზეც მოწვეულ იქნება ყველა სახელმწიფო.

პროექტი შეიცავს წინადადებას მოეწყოს საჭირო კონსულტაციები ყველა ქვეყანის შორის იმ მიზნით, რომ შეიქმნას კონფერენციის წარმომადგენლობითი მოსამზადებელი კომიტეტი.

ნიუ-იორკი. (საკდესი). ასამბლეამ არ დაამტკიცა 12 ქვეყნის რეზოლუციის პროექტი, რომელიც წინადადებას იძლევა აღადგინონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულყოფის, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის დასაძლევი აპარატურით აღჭურვისა და სხვა ღონისძიებათა განხორციელების გზით, რომლებიც ადიდებენ რაკეტული იარაღის საბრძოლო შესაძლებლობებს.

ბალკანეთი

ბულგარეთ-ალბანეთ-ელადა

ბონი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ივანოვი გვატყობინებს: ბონში კვლავ „სენსაციაა": ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სენატის თავმჯდომარე ჰანს როტბერგი ამბილეს როგორც ყოფილი სს-ელი და ჰიტლერის უფროსების სამსახურის (სდ-ს) თანამშრომელი.

დოკუმენტები როტბერგის წარსულის შესახებ გამოქვეყნა გაზეთმა „ფრანკფურტერ ალგემაინ". მართალია, როგორც კი ცნობილი გახდა ფაქტები მისი ბიოგრაფიის ბნელი მხარეების შესახებ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა სასწრაფოდ განაცხადა, რომ ეს ფაქტები „უსაფუძვლოა", თვით როტბერგმაც უარყო ეს ამბავი, გასამართლებლად მან ისიც თქვა, რომ ნაციზმის დროს მეგობრობდა წინააღმდეგობის ანტიფაშისტ მებრძოლთან ოტო ვაისთან.

მაგრამ „ფრანკფურტერ ალგემაინ" ალეგენი ფაქტებისა, ოქმისა ამ დაკითხვის შესახებ, რომელიც ლონდონში მოეწყო 1943 წლის აგვისტოში სწორედ გესტაპოელების მიერ დაპატიმრებული ვაისის საქმის გამო. დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ დაკითხვის დროს როტბერგმა გასცა ვაისი, დაწვრილებით გააცნო საგამოძიებო ორგანოებს მისი ანტიფაშისტური შეხედულებანი. შემდეგ გაზეთს სიტყვა-სიტყვით მოჰყავს როტბერგის განცხადება გამოძიების დროს: „1939 და 1940 წლებში ვცდილობდი შეეხსენებინა ნაციონალ-სოციალისტურ პარტიაში და სამი წლის წინათ მიმიღეს კიდეც. გარდა ამისა ვიყავი სდ-სა და სს-ს თანამშრომელი".

„როტბერგის აფერამ", როგორც ყოფილი სს-ელის საქმე მონათლა დასავლეთ გერმანიის პრესამ, მიი უფრო ააფორიაქა ბონი, რომ როტბერგი თავმჯდომარეობდა ამას წინათ კარლსრუეში გამართულ სასამართლო პროცესს კონსტიტუციის დაცვის ფედერალური უწყების ყოფილი თანამშრომლის ვერნერ პეჩის საქმის გამო. პეჩი გასამართლეს იმისათვის, რომ მან გასცა ბონის საიდუმლო პოლიციის მიერ ტელეფონით ლაპარაკის უკანონოდ უყურის დაგდების საიდუმლოება.

როგორც პეჩმა სასამართლოზე განაცხადა, ტელეფონით ლაპარაკს ძირითადად უყურს უგდებდნენ ყოფილი სს-ელები და გესტაპოელები, რომელთაგან ბევრი ახლაც მუშაობს ფედერალური საიდუმლო პოლიციის აპარატში. ახლა კი ირკვევა, რომ მოსამართლეც, რომელიც პეჩის საქმეს არჩევდა, ყოფილი სს-ელია.

როტბერგი პირველი დიდი თანამდებობის მართლმსაჯულების მსახური რომ დია, რომელიც ამბილეს როგორც ყოფილი აქტიური ჰიტლერელი. ამ რამდენიმე წლის წინათ ცნობილი გახდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ფრენკელის ბნელი ნაცისტური წარსული. შემდეგ ამბილეს ლუდვიგსბურგის საკისტ და სამხედრო დამნაშავეთა გამოძიების ფედერალური უწყების ხელმძღვანელი შულე, ამჟამად მიმდინარეობს შულეს საქმის გამოძიება.

„როტბერგის აფერა" კვლავ ცხადყოფს, რომ დასავლეთ გერმანიის იუსტიციის სისტემაში დღემდე ტონს იძლევიან ყოფილი ნაცისტები, რომლებმაც მძიმე დანაშაული ჩაიდინეს ჰიტლერიზმის დროს.

მოსამართლეა ყოფილი სს-ელი

ბონი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ივანოვი გვატყობინებს: ბონში კვლავ „სენსაციაა": ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სენატის თავმჯდომარე ჰანს როტბერგი ამბილეს როგორც ყოფილი სს-ელი და ჰიტლერის უფროსების სამსახურის (სდ-ს) თანამშრომელი.

დოკუმენტები როტბერგის წარსულის შესახებ გამოქვეყნა გაზეთმა „ფრანკფურტერ ალგემაინ". მართალია, როგორც კი ცნობილი გახდა ფაქტები მისი ბიოგრაფიის ბნელი მხარეების შესახებ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა სასწრაფოდ განაცხადა, რომ ეს ფაქტები „უსაფუძვლოა", თვით როტბერგმაც უარყო ეს ამბავი, გასამართლებლად მან

— ჩვენ შევუნდობთ, როგორც ჩვენც შეგვინდეს...

ნახატი პოლონელი მხატვრის კაროლ ფერსტერისა.

ბელგრადი-ზაგრები

ბელგრადი-ზაგრები

ბელგრადი, 18 ნოემბერი. (საკდესი). ბელგრადი-ზაგრების ავტომაგისტრალის ბოლო ნაწილი, 20 კილომეტრიანი მონაკვეთი, ოფიციალურად გაიხსნა. ეს ნაწილი ბელგრადიდან ზაგრებამდე ავტომობილებს 3 საათ-ნახევრით ადრე ეცლებოდა, ვიდრე ადრე. ეს ბოლო ნაწილი ბელგრადიდან ზაგრებამდე ავტომობილებს 3 საათ-ნახევრით ადრე ეცლებოდა, ვიდრე ადრე

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები •

თბილისი. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ტრაეულერ „თბილისის“ პატაკი

აზოვ-შავი ზღვის ფლოტილიის სარეწი გემების კაპიტნების თათბირზე ამ დღეებში დიდი გამოცოცხლება იყო. თევზსაყინავ ტრაულერ „თბილისის“ ეკიპაჟმა უპატაკა საშობლოს, რომ სახელმწიფო გეგმა შესრულებულია ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

რეწვის უფროსი პავლე გრიგორიანი პირველს სიტყვას აძლევს სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტროს მთავარ სპეციალისტს ბენიამინ ხუტორინს, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ ატლანტიკის რაიონში იმყოფება თევზის პროდუქციის მოპოვებისა და დამუშავების წლიური სახელმწიფო გეგმის შესრულებაში დახმარებისა და ორგანიზაციისათვის.

— ძვირფასო ამხანაგებო, — ამბობს ამხ. ხუტორინი, — ნება მიბოძეთ სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტროს სახელით გულითადად მოგილოცოთ საოკეანო თევზჭერის საქართველოს სამმართველოს თევზსაყინავ ტრაულერ „თბილისის“ ეკიპაჟს სახელმწიფო გეგმის შესრულება ყველა მაჩვენებლის მიხედვით. გისურვებთ ჯანმრთელობას. ბედნიერებას, დიდ შრომითს წარმატებებს, ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შემდგომ წარმატებითს შესრულებას, მალე დაბრუნებას სამშობლოში, ბედნიერ, სასიხარულო შეხვედრებს თქვენს მახლობლებთან.

ეთერში სიტყვას იღებს რეწვის უფროსი პ. გრიგორიანი. რეწვაზე მყოფი მთელი ფლოტის სახელით იგი შრომითს წარმატებებს ულოცავს ჩვენს ეკიპაჟს და უსურვებს დიდ შრომითს წარმატებებს სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში. შემდეგ იგი ამბობს, რომ ტრაულერ „თბილისს“ ერთსულოვანმა კოლექტივმა დიდი სიყვარული და ავტორიტეტი მოიპოვა აქ რეწვაზე მყოფ როგორც ბალტიის ზღვის, ისე აზოვ-შავი ზღვის გემებს შორის. ეკიპაჟი მუდამ მზად იყო ყოველგვარი დახმარება გაეწია ყველა გემისთვის.

ტრაულერ „თბილისს“ მოულოცა აგრეთვე რეწვაზე მყოფმა ყველა გემმა.

შორეულ ატლანტიკაში შვიდი თვის მანძილზე ტრაულერმა „თბილისმა“ დაიჭირა და დაამუშავა 51.000 ცენტნერი თევზი, რაც წლიური გეგმის 100 პროცენტს შეადგენს. გამოუშვა 34.500 ცენტნერი მაღალხარისხოვანი გაყინული თევზპროდუქცია, დანარჩენი რაოდენობა კი გაგზავნა თევზის ხარისხოვანი საკვები ფქვილის გამოსამუშავებლად. ტრაულერის ეკიპაჟი ძალღონითა და ენერგიით არის აღსავსე და ყველა ღონეს ხმარობს შეასრულოს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, რათა ამით თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო გეგმის შესრულების საქმეში.

გ. სვანიძე,
ტრაულერ „თბილისის“ კაპიტან-დირექტორი.



ლენინგრადის მოელექტრული საქონლების მაღაზიას კარგად იცნობენ თბილისელები. მის ლამაზად გაფორმებულ შენობაში [illegible] ყიდიან ელექტრული ნაწარმი — [illegible] ტელევიზორები, მაცივრები, [illegible] ელექტრული ფაკულტეტის ეკონომიური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი (მარჯვნივ) და ევა უთალლიშვილი — მე-5 სალამოს სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე ვიტრინას ახალი სუვენირებით აფორმებენ.

ფოტო ს. კილაძისა.

ახალმშენებლობანი სოფლად

● **მცხეთა.** (საკ. კორ.). რაიონში იშვიათია სოფელი, ახალმშენებლობათა ხარაჩოები რომ არ იყოს აღმართული. სოფელ ნატახტარში ახლახან იზეიმეს უნიკერამაღისა და სტადიონის მშენებლობის დამთავრება, ამავე სოფელში მალე დამთავრდება კლუბის, ელექტროწისქვილისა და ბანოს აგება. სოფელ ნიჩბისში სწრაფი ტემპით აშენებენ საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატს, რომელსაც ექნება სპარიკმახერო, მოდების ატელიე და სხვადასხვა სახელოსნოები. მთავრდება მაღაზიის აგება ძალისში.

მისაქციელში, ძალისსა და მცხეთაში აფართოებენ სასკოლო შენობებს, მიმდინარეობს წყალსადენის გაყვანა, რომელიც სასმელი წყლით უზრუნველყოფს მუხრანისა და ქსოვრისის მისახლეობას, ზედაზნის მთიდან წყაროს ანკარა წყალი გაპყავთ საგურამოელ კოლმეურნეებს.

ფერმათა კეთილმოწყობილი სადგომები აშენდა სოფლებში ირაშენდაში, ნიჩბისში, გალავანში, ქსოვრისში.

● **ზუგდიდი.** (საკ. კორ.). ახლახან აქ ხარაჩოები ჩამოხსნეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ორსართულიან ადმინისტრაციულ სახლს. შენობის ქვედა სართულში მოეწყობა მოდების ატელიე.

ციხეფრი ალი ფასანაურში

დუშეთი. (საკ. კორ.). დღითიდღე ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება ფასანაური. ამ რამდენიმე ხნის წინათ რესთაველმა მშენებლებმა აქ დაიწყეს გზიფიკაციის სამუშაოები. მოკლე დროში დამთავრდა ფასანაურის მთავარი უბნების გზიფიკაცია და ამ დღეებში ცისფერი ალიც აინთო.

გაში უკვე ძალიან სასტუმრო „ინტურისტამ“, მალე ბევრი მოსახლის ოჯახშიც აგიზგიზდება ცისფერი ალი.

ბუნებრივი გაზი გაპყავთ აგრეთვე მცხეთასა და დუშეთში.

თერმული წყლის ახალი შადრევანი

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ზუგდიდში წერეთლის ქუჩაზე ბუნებრივის შედეგად ამოხეთქა ცხელმა თერმულმა წყალმა, რომლის ტემპერატურა 89 გრადუსია. ობლილის ჰიდროგეოლოგიურმა პარტიამ ამ პაპურდალის გათხრა 1964 წლის ივნისში დიწყო. თერმული წყლის სადღეღამისო დებიტი 2.300.000 ლიტრს აღემატება.

სპეციალისტების დასკვნით, ახლადფიქრული თბილი ენერგია შეიძლება გამოყენებულ იქნას ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად, საწარმოო და საცხოვრებელ ნაგებობათა გასათბობად, ჩაის ფაბრიკების ნედლეულის გაოსამუშავებლად, სასათბურო მეურნეობაში.

მფრინავი რეპტილიები

პალეონტოლოგთა იშვიათი ნაპოვნები

მდიდარ ნადავლს შორის, რომელიც ახლახან ჩამოიტანეს პალეონტოლოგებმა მოსკოვში, არის უნიკალური ნაპოვნი. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პალეონტოლოგიის ინსტიტუტის საექსპედიციო რაზმმა თურქესტანის ქედის განტოტებაზე, ლენინაბადის მახლობლად, აღმოაჩინა მფრინავი რეპტილიის ნაშთი.

— ეს ნაპოვნი 190 მილიონი წლისაა, — უთხრა საკადემიის კორესპონდენტს რაზმის ხელმძღვანელმა, ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ა. გ. შაროვმა. — ქვაზე შემონახულა არა მარტო რეპტილიის მთლიანი ჩონჩხი, არამედ კანიც და საფრენი აპკის ანაბეჭდიც. ჩონჩხის პირველივე დათვალიერების შემდეგ მეცნიერები განაცვიფრა ცხოველის არაჩვეულებრივმა აგებულებამ. აქამდე ნაპოვნი სახეობის მფრინავ რეპტილიებს და ფრინველებს ფრთებად აქვთ წინა კიდურები.

ამ შემთხვევაში კი ფრთების როლს ასრულებენენ აკიდი აღმურვილი უკანა კიდურები, მათი საშუალებით, როგორც ჩანს, ცხოველი პაერში ლივლივებდა. მსოფლიო მეცნიერებაში აქამდე ცნობილი არ არის მსგავსი საფრენი აპარატები.

ჩიმკენტის ჩრდილოეთით, ყარათაუს მთებში ნამარხი მთის ტბის ნალექებში ჩვენმა რაზმმა იპოვა პტეროზავრის — მფრინავი ხვლიკის გაქვავებული ანაბეჭდი. ამ ანაბეჭდზე კარგად ჩანს, რომ ცხოველის სხეული და ფრთები, რომელიც 160 მილიონი წლის წინათ ცხოვრობდა, დაფარული იყო ბეწვით. ამ დაკვირვებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ პტეროზავრები, როგორც ჩანს, უკვე ცხოველთა სამყაროს თბილსისხლიანი წარმომადგენლები იყვნენ.

(საკადემიის კორ.).

მოსკოვი.

ხელოვნების ქრონიკა

საბარეჯოს სახალხო თეატრმა ამ დღეებში მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა მ. ჯავახიშვილის „ყბაჩამ დაიგვიანა“, რომელიც პიესად დაწერა მ. თარხნიშვილმა. დადგმის რეჟისორია ნუნუ მდივნიშვილი, პიესა მხატვრულად გააფორმა ირაკლი ხერომელმა, მუსიკა დაწერა ნოდარ გიგაურმა. როლებს ასრულებდნენ ნ. ბალანიშვილი, ჯ. ძაბილაშვილი, გ. ალაბული, შ. ბაზერაშვილი, ე. თედიაშვილი.

ბ. გოგიჩაიშვილი.

ქ. ტყიბულის დასავლეთი შახტის კლუბთან არსებულმა თეატრალურმა კოლექტივმა წარმოადგინა მ. ხუნწორიის სამმოქმედებიანი დრამა „მე სამშობლო მომენდო“. სპექტაკლი დადგა ამავე შახტის ცალის უფროსმა ა. გორგაძემ. მანვე გააფორმა სპექტაკლი მხატვრულად და შეასრულა ერთ-ერთი როლი. მუსიკალური გაფორმება ეკუთვნით ზეინკალ კ. ქასრაძისა და მოსწავლე მ. რაზმაძეს.

გ. ბეწაძე.

მეგობრობის კონცერტები

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა უკრაინის ხელოვნებისა და კულტურის მუშაკთა მიწვევით საგასტროლო ტურნე მოაწყო სევასტოპოლში, იალტაში, ხერსონში, კაროვკაში და უკრაინის სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

ანსამბლი გამოდიოდა საკონცერტო დარბაზებში, სპეციალურად მოწყობილ ესტრადებზე. კონცერტებს ათასობით მაყურებელი ესწრებოდა. მაღალმხატვრულად შესრულებულმა ქართულმა ცეკვებმა და მელოდიურმა სიმღერებმა მოხიბლა მასპინძლები. სულ გამართეს 39 კონცერტი.

ტურნე გადაიქცა ორი მოძმე ხალხის — უკრაინელებისა და ქართველების ტრადიციული მეგობრობის დემონსტრაციად.

ხერსონის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭომ, ბელოზერკის რაიონის ბათუმის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ და რესპუბლიკის სხვა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ანსამბლი დაჯილდოვეს სამახსოვრო ადრესებითა და ხატოვანი სიგელებით. პრესამ მაღალი შეფასება მისცა ანსამბლის მონაწილეთა საშემსრულებლო ოსტატობას.

შეხვედრა ვეტერანებთან

აბას წინაო ბლეხანოვის სახელობის კულტურის სახლში მოეწყო ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის რევოლუციური წარსულისა და შრომითი დიდების სალამო. აქ მოვიდნენ ყოფილი რკინიგზის სახელოსნოების მუშა, რევოლუციური წარსულის მოწმე ზაქარია ტეგეტაშვილი, პირველი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ა. ფარცხალაძე, ქარხნის ძველი მუშაკები ა. ჟიკლოვი, ნ. ლოლაძე, ა. სოხაძე, პ. ბედენაშვილი, ნ. მარგველაშვილი, კ. ილურიძე, ბ. ხუციშვილი.

ძველფას სტუმრებს მიესალმნენ პროფკავშირული სასწავლებლის ახალგაზრდები, ქარხნის საწარმოო განყოფილების უფროსის მოადგილე კ. კაკაჯანიშვილი, მოწინავე მუშა კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი პ. ბედენაშვილი.

საწარმოს ძველ მუშაკებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები და სამახსოვრო სიგელები.

ო. ცაბიტიშვილი,

ბარბაქაძე და მისი არტილერისტები

ნევის ნაპირებიდან ადმოსავლეთ პრუსიამდე

ომის წლებში რომელიღაც გაზეთში წამიკითხავს და ჩემს უბის წიგნაკში შემიტანია სტრიქონები:

...ფრონტის წინა კიდეზე სიწყნარეა, უფრო სწორად: ჯერჯერობით სიჩუმეა, სველ ლაბადა წამოსსმული მთოვალთვალეები მიპკვრიან ოპტიკურ ხელსაწყოებს. ისმის ძახილი:

— ორიენტირი 2... გერმანელთა დაჯგუფებას ბრძა ცეცხლი!..

ქვემეხებს ცეცხლის მაკორიქტირებელი გადმოსცემს: „ყუმბარები მიზანში დაეწყო. მტრის დაჯგუფება გაფანტულ-განადგურებულია“..

მებრძოლები თავიანთ ქვემეხებთან „საქმიანობენ“. ზოგი წვერს იბარსავს, ზოგიც გიმნასტიკაზე ღილს იკერებს, სხვები ან სახლიდან ახლად მიღებულ წერილებს კითხულობენ. ან გარმონის თანხლებით ხალხურ სიმღერას ღიღინებენ ჩუმი ხმით.

ეს მეომარი ყმაწვილები ლენინგრადის დამცველები არიან. მათი შორს მსროლელი მძიმე ქვემეხები მოსვენებას არ აძლევენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს არც ღღესით, არც ღამით.

დივიზიონის მეთაური კაპიტანი ბარბაქაძე თავისი სათვალთვალო პუნქტიდან გასცქერის მოწინააღმდეგის კანლაგებას. იქიდან ცეცხლის ენები მოჩანს, მტერი უშენს ლენინგრადის ქუჩებს, შენობებს, მშვიდობიან მოსახლეობას. დიდია მსხვერპლი. საქართველოს შვილი უცბად ცეცხლოვით ეხუება და მის ბიგეთაგან ისმის კომანდა:

— ორიენტირი 3.., მტრის ბატარეებს ბრძა ცეცხლი!..

პაერში მიფრინავენ გერმანელ ფაშისტთა ბატარეები მომსახურე ჯარისკაცებიანად.

ყოჩაღ ბარბაქაძეებო!..

ბარბაქაძის საარტილერიო დივიზიონის მეომრებმა ბრწყინვალედ გამოიჩინეს თავი 1942 წლის საომარ ოპერაციებში. ეს დივიზიონი, რომელიც შედიოდა შორსმსროელ საზღვაო არტილერიაში, ბალტიის ზღვის სხვა საარტილერიო ქვეგანაყოფებთან ერთად თავისი ქვემეხების ცეცხლით ქარიშხალივ თესავდა ფაშისტთა რიგებში და აჩანაგებდა მათ, პაერში ტყორცნილ მტრის ხანრძოლვრე საცეცხლე წერტილს და ძელმეწერებს, სათვალთვალო პუნქტებს, ქვემეხებსა და ტანკებს.

წეთელდროშოვანი ბალტიის ფლოტის სარდალი, ვიცე-ადმირალი ვ. ტრიბუნი, 1943 წლის მარტში წერდა: „ზუსტად ურტყამენ მიზანში ამ ნაწილების არტილერისტები, რომელთა მეთაურებიც არიან დმიტრიეკი, კუდრიავცევი და სხვები. ომის დაწყებიდან 1943 წლის 1 იანვრამდე ბალტიის ფლოტის არტილერიამ 3000-ზე მეტჯერ ჩაარუმა გერმანელთა და ფინელთა ბატარეები.

მთელ ბალტიის ფლოტში კარგად არის ცნობილი სანპპირო არტილერიის მეთაურები — ტუპოკოვის, ტუდერის, კუდრიავცევის, კოპტევის, ველნოვსკის, ბარბაქაძის, კრაიონოვის და ეტკის ვვარები. ეს ადამიანები შეასანშნავად ფლობენ საბრძოლო ტექნიკას, რაც შეეწინააღმეა ლენინგრადელი მუშების ხელებით“.

თუ გსურთ უფრო ზედმიწევნით გაეცნოთ ჩვენი საამაყო თანამემამულის, ამჟამად პოლკოვნიკ გრიგოლ იოსების-ძე ბარბაქაძის საბრძოლო დამსახურებას, იხახულეთ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საარტილერიო ისტორიული მუზეუმი და ამ დაწესებულების მეცნიერი თანამშრომლები არ დაჯზარდებიან დოკუმენტებით, ომის დროის ჩანაწერებითა და ოპერატიული მოხსენებებით. წარმოგიდგენენ ვას — სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის, საბჭოთა არტილერიის სახელოვანი გვარდეელი უშიშარი მეთაურის სახეს.

ლენინგრადის საარტილერიო ისტორიულ მუზეუმში ვართ. ექსკურსიამძღოლი მნახველებს გვიყვება ლენინგრადის ბლოკადის მძიმე დღეებს. ეს იყო გაუგონარი, ისტორიაში ჯერ არნახული რამ, რაც კი ოდესმე განუცდია ადამიანთა მოდგმას.

ლენინგრადის გმირული დაცვის 900 დღის განმავლობაში საბჭოთა მეომრებმა გასაოცარი სიმტკიცე და გამძლეობა გამოიჩინეს. მტრის შემოტევების მოგერიებასა და მის განადგურებაში, სხვა გვარეობის ჯარებთან ერთად, უდიდესი როლი შეასრულეს არტილერისტებმა.

მათ შორის საბრძოლო დიდების სახელით არის მოსილი 407-ე ცალკე საზღვაო საარტილერიო დივიზიონი, რომლის მეთაური გახლდათ პოდპოლკოვნიკი გრიგოლ იოსების-ძე ბარბაქაძე. ეს დივიზიონი საბრძოლო დამსახურებისათვის გახდა გვარდიული და დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.

დივიზიონმა ომის მეტად მძიმე გზა განვლო ნევის ნაპირებიდან აღმოსავლეთ პრუსიამდე. ბარბაქაძის დივიზიონი იდგა მეზობელ 406-ე საარტილერიო დივიზიონის ძლარამაარ და ერთობლივი ცეცხლით გამანადგურებელ დარტყმებს აგემებდნენ ფაშისტთა სამაგრეებს. ხოლო როცა 1944 წლის იანვრის დიღას ლენინგრადის მისადგომებთან დაიწყო შეტევა, ბარბაქაძის და მეზობელი დივიზიონების ბატარეებმა მტერს თავს დაატეხეს თავისი ბატარიების მთელი ცეცხლითა ძლიერება. მარტო შეტევის ორი დღის განმავლობაში ბარბაქაძის დივიზიონის არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა 3 ბატარია, 2 სათვალთვალო პუნქტი, გაანადგურეს მტრის ათობითი ქვემეხი, 3 ხანრძლივმოქმედი საცეცხლე წერტი, რამდენიმე ძელმიწური, რითაც გზა გაუხსნეს ჩვენს მოიერიმე ჯარებს შეტევის განსავითარებლად.

იმ დაუვიწყარ დღეებში ბარბაქაძელებმა ფაშისტთა ბუნაგა დაყაოეს 40 ტონაზე მეტი სიკვდილის მთესველი ღითონი.

ბარბაქაძის დივიზიონი ძლიერი იყო არა იმით, რომ დიდი კალიბრის ქვემეხები ჰქონდა, არა, ამ დივიზიონის ძალა მდგომარეობდა მისი პირადი შემადგენლობის შეტევითი სულისკვეთების აღტყინებაში, მეზღვაურ არტილერისტთა მისწრაფებაში — რადაც უნდა დასჯდომოდათ დაეცვათ რევოლუციის აკვანი — ლენინგრადი. დივიზიონი ინტერნაციონალური იყო თავისი პირადი შემადგენლობით. მეზღვაურ არტილერისტთა შორის იყვნენ რუსები და უკრაინელები, ქართველები და სომხები, ყაზახები და ბელორუსები, მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ხალხის შვილები. თვითეულ მათგანს კარგად ესმოდა, რომ ლენინგრადის დაცვით ისინი იცავდნენ რუსეთის, უკრაინის, საქართველოს, ბელორუსიის მიწაწყალს, იცავდნენ თავიანთი მამა-პაპის, თავიანთი ხალხის მიწაწყალს, იცავდნენ თავიანთ სახლ-კარს.

როცა 1944 წლის მაისში ბარბაქაძის საარტილერიო ნაწილს გვარდიული დროშა გადასცეს, მეომრებმა ჩაიმუხლეს და ამ წინადა ალაბის კიდეს შეახეს ტუჩები, თან ფიცი დადეს, რომ ღირსეულად გამოატარებდნენ მას ომის მთელ განსაცდელში. ბარბაქაძელებმა ღირსეულად შეასრულეს ფიცი. 1944 წლის ივნისის დოლას განთავისუფლებულ ლენინგრადამდე აღწევდა საარტილერიო ბრძოლის ქუხილი. ბარბაქაძის მამაცი არტილერისტები კრონშტადტის ფორტების არტილერისტებთან ერთად ბოლოს უღებდნენ ფაშისტებს კარელიის ყელზე და ვიბორგის უბის კუნძულებზე. ბარბაქაძის დივიზიონის ბატარიები დღეღამეში 6-7-ჯერ იცვლიდნენ საცეცხლე პოზიციებს, და მთელი ფრონტის არტილერისტთა შორის ისინი პირველები გაიჭრნენ ვიბორგისაკენ. ეს იყო ჭეშმარიტად გმირული საარტილერიო იერიში. ამის მსგავსი რამ ჯერ არ განხორციელებულიყო.

ამის შემდეგ, ბარბაქაძის საარტილერიო დივიზიონი ბალტიისპირეთის პირველი ფრონტის შემადგენლობაშია და ულმობლად ანადგურებს ფაშისტ დამპყრობლებს საბჭოთა ბალტიისპირეთის მიწაწყალზე.

გაგვალო ბრძოლის რომ იხსენებდა, ბალტიისპირეთის პირველი ფრონტის ყოფილი სარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ბაგრამიანი ჟურნალ „სოვეტსკი მორიაკში“ წერდა:

„ძნელია მოკლე სტატიაში გაიხსენო ბრძოლების მრავალფეროვანი სასაღელო ეპიზოდები. მაგრამ საკმარისია შეჩერდე ცალკეულ მუდამ დასამახსოვრებელ ბრძოლებზე, რომლებიც დამახასიათებელია მტრის წინააღმდეგ ჩვენი გამანადგურებელი დარტყმების ძლიერებისა... ზღვისკენ მიმწყვდეულმა მოწინააღმდეგემ თავისი რჩეული ნაწილებით, რომლებშიც აგრეთვე მედიოდ სატანგო დივიზია „დიდი გერმანია“, გაანადგურეს მტევა საგდურ კრეტნგის მიმართულებით... ჰიტლერელთა კონტრდარტყმების მოგერიებაში დიდი დამსახურება გაგვიწია ფლოტის სანაპირო არტილერიამ. მეზღვაურმა არტილერისტებმა. ოფიცრების გრანინისა და ბარბაქაძის მეთაურობით ზუსტი ცეცხლით მოსპეს ჰიტლერელთა ათობით სანადმტყორცნი და ჰიტლერელური ბატარეები, ტანკები და სხვა ტექნიკა“.

ამ დაუვიწყარი საბრძოლო ეპიზოდის შესახებ თვითონ გრიგოლ ბარბაქაძე იგონებს:

— კარგად მახსოვს ეს ბრძოლა... მტრის რიცხობრივად ჭარბი ძალების მოწოლით ჩვენმა ნაწილებმა უკანდახევა დაიწყეს. მეც მივიღე ტელეფონით ბრძანება — დაბეტონებია საცეცხლე პოზიცია. მაგრამ მტერი ისე ახლოს იყო ჩვენთან, რომ მეზღვაურებმა ვერ მოასწრეს არა მარტო პირი ებრუნებინათ ბატარიებისათვის და გადასულიყვნენ ახალ სათადარიგო პოზიციებზე, არამედ აეფეთქებინათ მაინც ისინი. მესაალო იყო ჩვენ მოკლი მატერიალური ნაწილით მტრის ხელში აღმოჩენილიყავით. გერმანელთა ტანკები და თვითმავალი ქვემეხები დიდი სიჩქარით გვიახლოვდებოდნენ, თან უწესრიგოდ ვვიშენდნენ გრიგალისებრ ცეცხლს. მე მოვახსენე სარდალს: „უკანდახევის დრო აღარ გვაქვს, ჩემს წინ ვხედავ მტერს. ვიწყებ სროლას!“.

არც ერთ მეზღვაურ არტილერისტს მოსაღოდნელი სიკვდილის წინაშე წარბიც არ შეუხრია. ყველანი მოქმედებდნენ ზუსტად, სწრაფად და უშფოთველად, როგორც ეს საბჭოთა მეომრებს შეაფერის. რაც უფრო ვვიახლოვდებოდა მტერი, მით უფრო გამანადგურებელი იყო ჩვენი ცეცხლი. დივიზიონ „დიდი გერმანიის“ ნაკრებმა ტანკებმა ვერ გაუძლეს ჩვენს შეუპოვრობას. ჩვენი მძიმე ყუმბარების დარტყმებით ზოგი მთაგანი რკინის ნამსხვრევად იქცა, სხვებს ცეცხლი მოეკიდა და ადგილზე გაიყინენ, ზოგმაც უკან მოკურსტლა.

ამ ბრძოლაში მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის ვვარდიის პოდპოლკოვნიკ გრიგოლ ბარბაქაძის დივიზიონის 240 მებრძოლი და მეთაური დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით.

გრიგოლ ბარბაქაძემ მონაწილეობა მიიღო იმპერიალისტური იაპონის კუნტუნის მე-8 არმიის წინააღმდეგ ისტორიულ ბრძოლაში. თავის დივიზიონთან ერთად მან ბრძოლებით გავლო ხარბინი, მუკდენი, ჩანჩუნი და პორტარტური. 1955 წელს კი დაამთავრა სამხედრო-საზღვაო აკადემია და კვლავ დაუბრუნდა თავის საყვარელ საქმეს, სადაც დაუოლაგად განაგრძობდა ანალგაზრდა მეზღვაურ-არტილერისტთა აღზრდას.

ღვეს ჩვენი თანამემამულე, ოცაწლმოსილი, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი გმირი მეომარი არტილერისტი, პოლკოვნიკი გრიგოლ ბარბაქაძე პენსიაზეა, მაგრამ კვლავ ახალგაზრდული გატაცებით ეგზებს მისი ცხოვრების ნათელ გზას...

ა. პოკილაშვილი,
თადარგის მაიორი.

ამ ქარცეცხლიან ღლეებზე ვმბობენ!

ახალი ამბავი

მ. ტალი თუ გ. სპასკი?

ნისლი არ გაფანტულა

ზოგჯერ მატჩში პარტიას გადაიტანენ მაღალმხატვრულად შესრულებულმა ქართულმა ცეკვებმა და მელოდიურმა სიმღერებმა მოხიბლა მასპინძლები. სულ გამართეს 39 კონცერტი.

ტურნე გადაიქცა ორი მოძმე ხალხის — უკრაინელებისა და ქართველების ტრადიციული მეგობრობის დემონსტრაციად.

ხერსონის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭომ, ბელოზერკის რაიონის ბათუმის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ და რესპუბლიკის სხვა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ანსამბლი დაჯილდოვეს სამახსოვრო ადრესებითა და ხატოვანი სიგელებით. პრესამ მაღალი შეფასება მისცა ანსამბლის მონაწილეთა საშემსრულებლო ოსტატობას.

ოთასის მულობელთა თასზე

გრძელდება ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშება ფეხბურთში.

გლაზგოს „სელტიკი“ ორჯერ შეხვდა ლაბიის „ორხუსს“, ორივეჯერ გიმარჯვა ინგლისელმა ბიჭებმა 2:0, 1:0 და თასის გათამაშების მეოთხედფინალში გავიდა.

ფაქტიურად მეოთხედფინალში გასვლა უზრუნველყოფილი აქვს გერმანელის დინამო-ტიელი რესპუბლიკის საკლუბო გუნდს „აუფბაუს“, რომელმაც მეოთხედფინალში მოუგო ბელგიელ შვეიცარიის „სიონს“ ანგარიშით 8:1.

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

მოლდავეთის ქ. ბელცში გრძელდება ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ჭადრაკში ქალთა შორის.

მეორე ტურში ბრძოლა შეუპოვარი გამოდგა. რანნიპუ წარმატებით იბრძოდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი გამოცდილი მოჭადრაკის მორისენგმს ზინაიდმეგ და გამარჯვება მოიპოვა. სამმენინამ დაამარცხა ო. რუბცოვა. ოთხი პარტია ყაიმით დამთავრდა. დანარჩენები გადაიდო.

ბუშინ ბაიმართა მესამე ტური. გამარჯვება იზეიმეს დედა და შვილმა ო. და ვ. რუბცოვებმა. მათ სატურნირო ცხრილში ოთხი ქულა ჩაიწერეს. პაპაბაძემ მოუგო პარნიკოვას.

ვინ იმსჯობებს ლონდონში

ლონდონში მსოფლიოს პირველობის მატჩებს ფეხბურთში მოვამსახურება 30 საუკეთესო მსაჯი. ამასთან დაკავშირებით ფეხბურთის ეროვნულ ასოციაციებს დავალებული აქვთ ფიფას წარუდგინონ. თავიანთი კანდიდატურები. სწორედ ამათგან მომავალი წლის თებერვალში შერჩეული იქნება 30 საუკეთესო.

მსაჯობის კანდიდატებად შეიძლება წარდგენილი იქნან ის არბიტრები, რომლებიც შედიან ფიფას სიაში. ეს ის მსაჯებია, რომლებსაც უნახავთ ეროვნულ ნაკრებთა მატჩებში. სსრ კავშირიდან ასეთი კანდიდატები არიან — **ბახრამოვი, ანდიულიანი, არხიპოვი, ყურუაშვილი, ზვერევი, ლუკიანოვი.**

ქალაქი ბოლოს

ბრიტანეთის ჩემპიონატის მატჩი „ბოლტონ უონდერერსისა“ და „არსენალის“ გუნდებს შორის. „ბოლტონ უონდერერსის“ გუნდის კაპიტანმა ახალშობილ გულშემატკივარს ანუქა ბურთი ხელში. ამ შემთხვევაში გაზეთების ასეთი ცნობა ჩნდება: „ამისა და ამის ავადმყოფობის გამო პარტია არ შემდგარა“. არავითარი კომენტარი... არავითარი ბიულეტენი ავადმყოფის მდგომარეობის შესახებ.

და აი ასეთი ცნობა თბილისშიც გამოქვეყნდა, როცა ავად გახდა მიხეილ ტალი. მისი მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები აღელდნენ. რა დეტალრთა ტალს? მაგრამ ორშაბათს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ნახეს ფეხბურთის მატჩზე „დინამოსა“ და ცსკ-ს შორის, ე. ი. ავადმყოფობა მძიმე არ ყოფილა! ხაჭადრაკო პრაქტიკაში ხდება, რომ ავადმყოფი ორი დღის შემდეგ დიდი ძალით თამაშობს და პირდაპირ „ტყავს აძრობს“ ჯანმრთელს. ასეთ შემთხვევაში უკვე მისი მოწინააღმდეგე ხდება ავად. „სვლების ასეთი გამეორება“ რომ არ დაუშვან, რეგლამენტით მატჩის განმავლობაში მონაწილეს მხოლოდ სამჯერ ეძლევა ავადმყოფობის უფლება.

ამას წინათ რიგაში გაიმართა მატჩი ნონა გაფრინდაშვილსა და ალა კუშნირს შორის. მოსკოველი მოჭადრაკე სამჯერ გახდა ავად, ნონა კი არცერთხელ. მახსოვს ბოტვინიკ-სმისლოვის ერთ-ერთი მატჩის დროს მეტოქეებმა მაქსიმალურად გამოიყენეს თავიანთი უფლება და სამსამჯერ „დავადდნენ“.

მე ვფიქრობ, სიტყვა „ავადმყოფობა“ ამ მდგომარეობის შესაფერისი როდია. უმჯობესი იქნება ვოქვათ „გროსმაისტერმა „ტაიმ აუტი“ აიღო“. როდის იღებს გროსმაისტერი „ტაიმ აუტს“? მოჭადრაკეც ხომ ადამიანია. მასაც შეუძლია ავად გახდეს. „ტაიმ აუტს“ იღებენ ტრავმის მიღების შემდეგ. მოჭადრაკისათვის ყველაზე სერიოზული ტრავმა პარტიის წაგებაა. ამის ერთადერთი წამალია მომდევნო პარტიის მოგება. ზოგჯერ „ტაიმ აუტს“ იღებენ დროის მოსაგებად. ვთქვათ, რომელიმე მონაწილემ მოისურვა ამა თუ იმ ვარიანტის „სასწრაფო რემონტი“. ორ დღეში კი შეიძლება რამის მოფიქრება.

იმედი მაქვს ჩემმა მცირედმა განმარტებამ დაამშვიდა ჭადრაკის გულშემატკივარი. ისინი ალარ აღელდებიან, რადესაც წაიკითხავენ „ამა და ამის ავადმყოფობის გამო და ა. შ.“. მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ არავინ არ გახდება ავად.

მიხეილ ტალი და ბორის სპასკი თავს საუცხოოდ გრძნობენ. „ავადმყოფობა“ კინაღამ არ მოიგო ოთხშაბათს პარტია!

როგორც მოსალოდნელი იყო, მარტივ ენდშპილში გადადებული მეშვიდე პარტია 53-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

მზიან თბილისში მშვენიერი ამინდია, მაგრამ კითხვა „სპასკი თუ ტალი?“ კვლავ ნისლით არის მოცული.

სალო ფლორი,
მატჩის მთავარი არბიტრი.

ბ. გორდეზიანი

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო მედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კათედრის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა გიორგის-ძე გორდეზიანი.

ბ. გორდეზიანი დაიბადა 1911 წელს ქალაქ თბილისში მოსამსახურის ოჯახში. 1937 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დატოვებულ იქნა ამავე ინსტიტუტის სფაკულტეტო ქირურგიულ კლინიკაში, სადაც გაატარა მთელი თავისი შინაარსიანი და საქმიანი ცხოვრება კლინიკის ორდინატორიდან პროფესორამდე.

1951 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1958 წელს სადოქტორო დისერტაციები. იგი იყო მე